პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 4, მე-2 სართული ტელეფ. № 5—48.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 252 ხუთშაბათი, 2 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 252

დღიური

— საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პრესა დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას.

— იაპონიის სავაჭრო წრეები მზად არიან [illegible] დამოკიდებულება დაიჭირონ საბჭოთა რუსეთთან.

— ფაშიზმის მოძრაობა გერმანიაში იზრდება. მონარქისტებს მთავრობა ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს. მთავრობის განკარგულებით, დაიხურა გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანო „როტე ფანე".

— იტალიის ბევრი სოციალისტები გაიქცენ ავსტრიაში

საქართველოს კომპარტიის

ხელ-ახალი რეგისტრაციის, შემოწმების და გაწმენდის

ცენტრალური კომისია აქცევს სარაიონო და სამაზრო კომისიების ყურადღებას გაწმენდის ინსტრუქციის მე-10-ე პარაგრაფის სისწორით გაგების აუცილებლობაზე.

§ 10-ე ამბობს: „ის პირნი, რომელნიც შევიდენ პარტიაში 1921 წლის განწმენდის შემდეგ და რომლებზედაც არ გავრცელებულა პარტიული აღწერა, მექანიკურად გამოირიცხებიან პარტიიდან და გაწმენდაში არ გატარდებიან".

გაწმენდაში არ გატარება, ხოლო აღწერაში გატარება არ არის საკმარისი პარტიაში დატოვებისათვის.

გაწმენდის შემდეგ პარტიაში შესვლა, აღწერაში გატარებასთან დამოუკიდებლად გულისხმობს მექანიკურად პარტიიდან გარიცხვას.

შემმოწმებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე: **გორობჩენკო.**

ხუთშაბათს, 2 ნოემბერს, დღის 12 საათზე

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ კომისიის

სხდომა

მოწვეული არიან წარმომადგენლები: კავკასიის ცალკე არმიის, საქართველოს არმიის, საქართველოს საგანგებო კომისიის, განათლების სახალხო კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის, სახალხო განათლების განყოფილების, პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილების, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების, ქალთა განყოფილების, ახალგაზრდობის კომკავშირის და რაიკომების ორგანიზატორები.

ყველა წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ დამზადებული გეგმით დასახულ მუშაობისათვის.

ყველას დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ახალი სტიქიური უბედურება და მასთან ბრძოლა

როგორც იყო, სიმშილობა გადავიტანეთ. ბევრი ტანჯვა მიაყენა მან მშრომელ და შეუძლო ხალხს. უდიდესი მატერიალური რესურსები და ენერგია შეიწირა სიმშილობასთან ბრძოლამ. საბჭოთა ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არაფერი დაუზოგავთ, რათა ეხსნათ ხალხი სიმშილის კლანჭებიდან. მიღებული ღონისძიებათა წყალობით, ხალხმა განსაცდელს ასე თუ ისე თავი დააღწია. ამასობაში უკვე წამოგვეწია ახალი მოსავალი ხოლო დასავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთში, ზოგ ალაგას მოასწრეს მისი აკრეფა, ხოლო სხვა ადგილას წარმოებდა სამისო მუშაობა. განვლილი სიმშილით განაწამები მშრომელი გლეხკაცობა მომავლისათვის უზრუნველყოფილად გრძნობდა თავს, დაიმედებული, რომ თავის მარჯვენით და მუშურ-გლეხურ მთავრობის დახმარებით მოწეული სარჩო ეყოფოდა შემდეგ წლამდე და ზედმეტიც გადარჩებოდა, რომლითაც შეიძენდა მისთვის აუცილებელ სხვა და სხვა საგნებს.

ასე ფიქრობდა ჩვენი გლეხ-კაცი. მაგრამ სულ სხვას უმზადებდა მას შეუბრალებელი ბუნება.

მან არ აკმარა ხალხს შარშან დატეხილი უბედურება. ჯერ კიდევ 7-8 სექტემბერს იწვია იმერეთს საშინელი წყალდიდობა, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. ბევრ ალაგას ყანები წალეკა, პირუტყვი დაახრჩო, სახლ-კარი დაანგრია და სხ. მაგრამ ის, რაც მოხდა მაშინ, არაფრად მოსჩანს იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რომელიც დატრიალდა დასავლეთ საქართველოს მაზრებში 22-26 ოქტომბრის განმავლობაში. თავის ფარგლებით, სიდიდით და მიყენებული ზარალით არავის ახსოვს ისეთი წყალდიდობა, როგორიც აღნიშნულ რიცხვებში დაატყდა იმერეთს. დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა მაზრებიდან და რაიონებიდან ჩვენ მოგვდის გულშემზარავი ცნობები სტიქიის თარეშის და მისი გამანადგურებელი შედეგების შესახებ. ბევრ ალაგას მდინარეებმა გადახეთქა კალაპოტი და მოედვა ახლო მდებარე სოფლებს. მთელი რაიონები წყალ ქვეშ იყო მოქცეული. დანგრეულია სახლები, მოსპობილია უამრავი სარჩო-საბადებელი. ყანები, სადაც სიმინდი კიდევ არ იყო აკრეფილი ან ხვავებად ეწყო, სავსებით წალეკილია. წყალმა დაახრჩო დიდძალი საქონელი და შინაური ფრინველი. არის ადამიანთა მსხვერპლიც. წალეკილია ხიდები, წისქვილები და სხ. წყალისაგან განთავისუფლებულ ადგილებზე რჩება ნალექი დიდი სიღრმით, დგება საშინელი შმორი, რაც იწვევს მცხოვრებთა მასიურ დაავადებას.

ხალხის გაჭირვება აუწერელია. ბევრ ალაგას ხალხი გაიხიზნა სხვაგან და თავშესაფარი არ გააჩნია. მოკლებულია სურსათ-სანოვაგესაც. საჭიროა სასწრაფო და უდიდესი დახმარება. დაგვიანებას ამ საქმეში მოყვება მრავალ ათასის ამოწყვეტა.

პირველ ყოვლისა საჭიროა მივაწოდოთ დაზარალებულ ხალხს საკვები პროდუქტები, ამასთან უნდა შეუდგეთ დანგრეულ სახლ-კარის აღდგენას. გლეხობას აგრეთვე უნდა გაეწიოს დახმარება მოსპობილ საქონლის ასანაზღაურებლად.

ყველაფერ ამისათვის საჭიროა უამრავი მატერიალური საშუალებანი და მწყობრი ორგანიზაცია. დახმარების ორგანიზაცია უნდა იკისროს დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა, რომელსაც ამ სფეროში აქვს უკვე მზა მზარეული აპარატი და საკმაო გამოცდილებაც მოეპოვება. რაც შეეხება საშუალებებს, მის შექმნაში უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სახელმწიფომ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და მთელმა ხალხმა, კიდევ მეტი: ამ უბედურებას უნდა გამოეხმაურონ მეზობელი რესპუბლიკებიც.

მოვლენილი უბედურება იმდენად დიდია, ხალხის გაჭირვება იმდენად უსაზღვროა, რომ მხოლოდ საერთო ძალით შევსძლებთ მის დაძლევას. ამ საქმეში ვინმეს გულგრილობა, განზე გადგომა უდრის ხალხის ნამდვილ ღალატს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ განსაცდელის დროს მუშურ-გლეხურ მთავრობას გვერდში ამოუდგება მთელი ხალხი, ის არ დაიშურებს აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეთა და მეზობლების სახსნელად თავის წვლილის გაღებას. ყველგან უნდა მოეწყოს სათანადო ორგანიზაციები, რომელნიც დაუყონებლივ შეუდგებიან დახმარების მოგროვებას. მთავარ კომიტეტმა უნდა გამოიმუშაოს ამ დახმარების ფორმები. დაზარალებულთათვის სურსათის მიწოდება, მათი სახლ-კარის აღდგენა, დაღუპულ პირუტყვის მაგივრად სამაგიეროს მოგროვება და შეძენა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და სხ., აი საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მუშაობა. ამისათვის საჭიროა ფართე საგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობის გაწევა. ჩვენ პარტიულმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ამ მხრივ უნდა გამოიჩინონ ენერგიის მაქსიმუმი.

და ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მთელი ხალხი გამოიჩენს გულშემატკივრობას წყალდიდობისაგან დაზარალებულთადმი და თავისი დროული და უხვი დახმარებით გადაარჩენს მათ.

ვიმეორებთ უბედურება უზომოა და მისი დაძლევა მხოლოდ საერთო ძალღონით შეიძლება. მასთან საბრძოლველად ჩვენ უნდა ავამუშავოთ და ფეხზე დავაყენოთ ქვეყნის ყველა ჯანსაღი ძალები. ხოლო ვინც ამ საერთო გაჭირვებაში განზე გადადგომას მოინდომებს მას უნდა მოვეპყრათ, როგორც ხალხის მოღალატეს და მტერს.

ფაშიზმი

ფაშიზმი არის ამ ჟამად იტალიის პოლიტიკური ცხოვრების ბატონი. მან მოახერხა თავისი მუდმივი **ხმაურობით**, ისეთი „საპატიო" ადგილის დაპყრობა საერთაშორისო მაშტაბით, რომ გადაიქცა ყველა სახელმწიფოების ყველა რეაქციონულ ბანდების იდეალად; ამ ორი წლის წინად ხომ არც იტალიაში და არც საზღვარგარეთ არაფერი არ იცოდენ ფაშიზმის შესახებ. ფაშიზმი ჩაისახა 1920 წ. მილანში მუსოლინის ხელმძღვანელობით, რომელიც იყო წინად სოციალისტურ პარტიის ლიდერი, ხოლო ომის დროს გახდა ექსტრემისტების სოციალ პატრიოტების პარტიის დემაგოგი.

თავდაპირველად ეს პარტია წარმოადგენდა უმნიშვნელო პატარა ჯგუფებს. როდესაც იტალია გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო ომიდან, არ მიიღეს რა ამ გამარჯვებით არავითარი უპირატესობანი, ამ ჯგუფებმა მოითხოვეს იტალიაში უკიდურესი ნაციონალისტური და იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება.

ფაშიზმის მთელი ბრძოლა იმთავითვე იყო მიმართული სოციალისტურ პარტიების და პროლეტარულ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელნიც, ფაშისტების აზრით, თავიანთი რევოლიუციონური მისწრაფებებით, აუძლურებდენ იტალიას საერთაშორისო პოლიტიკაში.

კარგა ხანს ფაშისტებმა ვერ გამოიწვიეს ვერავითარი თანაგრძნობა იტალიის მცხოვრებთა შორის. ეს იყო იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია გრძნობდა თავის სრულ უმწეობას, ხოლო პროლეტარიატი, რომელსაც მეთაურობდენ სოციალისტური პარტიები, მტკიცედ მიისწრაფოდა გადამწყვეტ ბრძოლისაკენ.

მუსოლინი და მისი მიმდევრები ისეთი წინდახედული აღმოჩნდენ, რომ მათ მშვენივრად გაითვალისწინეს, რომ სოციალისტური პარტიის წინამძღოლნი სრულებით არ ყვნენ მზად რევოლიუციისათვის და რომ პროლეტარიატი, რომელიც მართალია ჯერ კიდევ ძლიერი იყო მოედნებზე და ქუჩებში, ვერ გაუძლებდა ორგანიზაციულად შეკავშირებულ რეაქციის შეტევას და ისინი თანდათან შეუდგენ ბრძოლას, პირველ ხანებში ხან აქ, ხან იქ აქრობდენ პროლეტარიატის დემონსტრაციებს.

1920 წლის დასასრულში იტალიის პროლეტარიატმა მოახერხა დიდი გამარჯვების მოპოვება; მელითონეებმა ხელში ჩაიგდეს ფაბრიკები, ხოლო სასოფლო მეურნეობის მუშაობა—მსხვილი სამეურნეო წარმოებანი. და მაინც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერებმა, რომელთაც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდენ არც თვით სერრატი და არც მისი მიმდევრები, არ მისცეს გასაქანი იტალიის პროლეტარიატის მოძრაობას, რომ იგი განვითარებულიყო პოლიტიკურ რევოლიუციაში და ჩააყენეს ეს მოძრაობა ბრძოლის ვიწრო ჩარჩოებში.

სოციალ-დემოკრატიული ქურუმები აწარმოებდენ ხანგრძლივ მოლაპარაკებას მთავრობასთან და ბურჟუაზიასთან და დაიყოლიეს მუშები დაეთმოთ თავისი პოზიციები, გაეწმინდათ მათ მიერ დაჭერილი ფაბრიკები და ქარხნები.

მაგრამ ბურჟუაზიის შიში ამ ბრძოლის დროს იყო ისეთი დიდი, რომ მან გადასწყვიტა ეხმარა ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშვალებით, რათა ჩაექრო პროლეტარიატის მოძრაობა. და ფაშისტებს მიეცათ ყოველგვარი საშუალებანი ამისათვის. მრავალი მილიონები მისცეს ფაშისტებს ახალ წევრების შესაგროვებლად და შეიარაღებისათვის. მთავრობა, რომელიც გარეგნულად ისე იჭერდა თავს, რომ თითქოს სრულებით ნეიტრალურია, იმავე დროს წინააღმდეგობას არ უწევდა როდესაც, მთელი ჟანდარმერია და მთელი აფიცრობა იძლეოდა იარაღს ფაშისტების განკარგულებაში.

1921 წლის გაზაფხულზე იტალიაში მოღონიერდა ფაშიზმი. ერთის მხრივ უმუშევრობამ, რომელიც გამოწვეული იყო ნაწილობრივ ეკონომიური კრიზისით, ნაწილობრივ კი ხელოვნურად იყო შექმნილი მწარმოებელთა მიერ, წარმოშვა ლუმპენ პროლეტარების მთელი კადრი, რომელმაც გაამრავლა ფაშისტების ბანდების რიცხვი, მეორეს მხრივ—ფაშიზმს მიემხრო საშუალო წოდების ელემენტების დიდი უმრავლესობა, წვრილი და მსხვილი პოლიტიკური კარიერისტები და სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტები.

ამგვარად ფაშიზმი დღითი დღე **იზრდებოდა**. თანდათანობით მთელი ოლქები ჩაუვარდა ხელში ფაშისტების ტერორს. და ამასთან ერთად ხდებოდა პროლეტარების მასიური ხოცვა-ჟლეტა მუშათა კლუბების, მუშათა გაზეთების რედაქციების დარბევა. აძევებდენ მუშათა პარტიების ორგანიზატორებს და ლიდერებს. სახელმწიფოს ავტორიტეტი იხრებოდა ფაშისტების წინაშე, ქალაქის და სოფლის მუშათა საბჭოებს, რომელნიც ზოგიერთ ადგილას, თავისუფალი არჩევნების წყალობით, მთლიანად სოციალისტების ხელში იყო, ფაშისტები ძალით, იარაღის საშუალებით იკავებდენ. უკანასკნელ ხანებში საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ზოგიერთ რაიონებში ფაშისტები მუქარით იძულებულს ხდიდენ პროვინციალურ ორგანიზაციებს შესულიყვნენ მათ რიგებში.

და მაინც ფაშიზმის ხელმძღვანელობა, არასოდეს არ ყოფილა სავსებით გაერთიანებული და კონკრეტული. მათ ადრევე შეეძლოთ სახელმწიფო ძლაუფლების ხელში ჩაგდება, აჯანყების საშუალებით, მაგრამ ფაშისტების ლიდერი მუსოლინი ომჯობესათ სთვლიდა დროებით შეეწყვიტა ბრძოლა, რათა პარლამენტარული გზით წასულიყო მიზნის განხორციელებისაკენ. თვით ფაშიზმში მწიფდება აუცილებელი კრიზისი. ფაშისტების შორის 3 მიმდინარეობამ იჩინა თავი: 1) მსხვილი მემამულეები და კაპიტალისტური ელემენტი მოითხოვენ მტკიცე რეაქციონულ პოლიტიკას, მუშების ხოცვა-ჟლეტას, კოალიციის, გაფიცვების სრულ აკრძალვას და სხვა, 2) წმინდა ნაციონალისტური ელემენტი მხარს უჭერს პოეტ დანუნციოის მერყევ პოლიტიკას და 3) ფაშიზმის მუშათა ორგანიზაციები, რომელნიც წინად ეკუთვნოდენ სინდიკალისტებს და ანარხისტებს, ემორჩილებიან რა ძალით შეკავშირებულ მასას, აწარმოებენ კლასიურ პოლიტიკას.

ფაშიზმის მნიშვნელობა თანამედროვე მდგომარეობისათვის ჯერ კიდევ გამოურკვეველია და აღსავსეა ყოველგვარ მოულოდნელობით, საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ იტალიის ბურჟუაზიის მთავარი ორგანო „კორიერე დელასერა" თავის მოწინავე წერილში საჭიროდ სთვლის გააფრთხილოს იტალია ფაშიზმის ზრდისაგან, ვინაიდან იქ თავმოყრილია სრულიად ახალი ელემენტი, რომელსაც შეუძლია ახალი დროშის ქვეშ განაგრძოს რევოლიუციონური ბრძოლა.

(„როტე ფანე").

სასურსათო კამპანია მიმდინარე წელს

იმ დროს, როდესაც შარშან, ნოემბრის განმავლობაში, საქართველოს ყველა მაზრაში საგადასახადო წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა მიმდინარეობდა და მხოლოდ სამ მაზრაში: თბილისის, ახალქალაქისა და თელავში,—იყო იგი დასრულებული და გადასახადის შეგროვება დაწყებული, წელს ნოემბრის 1-სთვის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ უკვე გვაქვს შეგროვილი 500.000-სზე მეტი ფუთი ხორბლეულის ერთეული, რომელშიაც 400.000 ფუთზე მეტს მარცვლეული შეადგენს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე ინტენსიურად სასურსათო გადასახადი შემოვიდა სექტემბრის მეორე ნახევარში და ოქტომბრის პირველ ნახევარში.

იმ დროს, როდესაც სექტემბრის 15-მდე კამპანიის დაწყების დღიდან, ე. ი. ივლისის 20-დან შეგროვდა 30-მდე პროცენტი, ოქტომბრის 1-სთვის უკვე შეგროვილი იყო 56 პროცენტი, ხოლო ოქტომბრის 15-სთვის კი მიაღწია 80 პროცენტს იმისას, რაც შეწერილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს.

გორისა, თელავის და სიღნაღის მაზრამ და სამხრეთ ოსეთმა უკვე გადაიხადეს მთელი 100 პროცენტი ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ახალციხისა და თბილისის მაზრა უკვე 90 პროცენტს გასცდა და ამ დღეებში კამპანიას ათავებენ.

დუშეთის მაზრამ უკვე შეასრულა 82 პროცენტი, ახალქალაქისა და თიანეთისამ 64 პროც., ხოლო ბორჩალოს მაზრამ შეწერილ გადასახადის ნახევარზე მეტი გადაიხადა. უკანასკნელმა მაზრებმა დაიგვიანეს ადგილობრივ და ტეხნიკურ მიზეზების გამო; ხოლო დღეს ადგილებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, გადასახადი იქაც კარგად შემოდის და ადგილობრივი სასურსათო ორგანოები ფიქრობენ, რომ აქაც სრულად იქნება აკრებილი გადასახადი, ვინაიდან არც ერთ მაზრაში არ არის გადასახადის აკრების ხელის შემშლელი პირობები.

წრევანდელ კამპანიის წარმატებით მიმდინარეობა აღმოსავლეთ საქართველოში საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ სასურსათო გადასახადი არ ეწინააღმდეგება საქართველოს სოფლის სამეურნეო ფორმებს. ყველა მაზრები, რომლებიც ერთი მეორისაგან განსხვავდებიან მეურნეობის ხასიათით, მისი განვითარების დონით და შეძლების მხრით, ერთნაირის წარმატებით ანხორციელებენ სასურსათო გადასახადის კამპანიას. ეს ამას ამტკიცებს, რომ სასურსათო გადასახადი ცხოვრებისაგან არის წამოყენებული და იგი საადვილოა გლეხობისათვის. ცხადია, რომ სასურსათო გადასახადი საჭიროა რესპუბლიკისათვის და იმ დრომდე, ვიდრე ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა აღდგენილი არ იქნება და ფულის კურსი არ განმტკიცდება, შეუძლებელია ხელის აღება სასურსათო გადასახადზე.

სექტემბერში მოსკოვში გაიმართა მოსავლის დღესასწაული და იმ პლაკატთა შორის, რომელნიც ამშვენებდნენ ესტრადას საზეიმო სხდომის დროს კავშირთა სახლში, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა პლაკატს წარწერით: „სასურსათო გადასახადი—რესპუბლიკის ოქროს ფონდია".

ეს ლოზუნგი, რომელიც გამოსროლილ იქნა იმ კრებიდან, რომლის მიზანიც იყო სასოფლო მეურნეობის აღდგენა, გამოხატავს ძირითად ხაზს, რომლითაც განსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლის მიმართ. ეს ლოზუნგი იმას ამბობს, რომ სასურსათო გადასახადი აუცილებელი პირობაა ქვეყნის აღსადგენად. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს გააძლიეროს სასოფლო მეურნეობის ზრდა და განვითარება, მისცეს მას ტეხნიკური ძალები, ტრაქტორები და სხვა გაუმჯობესებული მანქანები, რომელნიც მიწის დამუშავებას უფრო მაღალ საფეხურზე დააყენებენ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, მელიორაცია, მიწათ-მოწყობა და ბევრი სხვა რამ შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის პროგრამას. ასეთი ფართო პროგრამის გასატარებლათ სახელმწიფოს სჭირდება ბევრი რესურსები, რომელთა შორის სასურსათო გადასახადმა უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი.

და აი, აღმოსავლეთ საქართველომ რესპუბლიკის „ოქროს ფონდს" თითქმის სულ მისცა თავისი ხვედრი. ასაკრებია სულ რაღაც 13 პროცენტი. შეგროვების ტემპი, რასაკვირველია, ისეთი აღარ არის, როგორიც იყო სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში.

ახლა ჩვენი ყურადღება მიპყრობილია დასავლეთ საქართველოსაკენ. რაც შეეხება აღმოსავლეთის მხარეს, ჩვენ გვგონია, რომ ოქტომბრის დღესასწაულის წლის თავისთვის იგი გაგვახარებს მთელი ასი პროცენტის შეგროვებით.

ა. რ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

— **ამხ. დზერჟინსკი.** „ტან"-ის სპეციალური კორესპონდენტი რუსეთიდან ანრი როლენი უძღვნის თავის უკანასკნელ საინტერესო კორესპონდენციას დზერჟინსკის, რომელსაც კორესპონდენტი დიდხანს ესაუბრა.

საფრანგეთის ჟურნალისტი დამახასიათებლათ იმ გარდატეხისა, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთში, სთვლის იმას, რომ ყოფილი თავმჯდომარე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა, რომლის სახელი საზღვარგარეთ ტერორის სინონიმათ იყო ცნობილი, რომელსაც რუსეთის რევოლიუციის ფუქე ტვინი უწოდებდენ, ეხლა სდგას გზათა უწყების სათავეში და ფიქრობს მხოლოდ რუსეთის ტრანსპორტის საქმის აღდგენაზე.

კორესპონდენტი ამბობს, ალბათ რამდენიმეთ გაკვირვებული, როგორ ადვილათ შეიძლება დზერჟინსკისთან მისვლა (თითქმის უფრო ადვილათ, ვიდრე რომელიმე ევროპიელ მინისტრთან) და მიუთითებს, რომ დზერჟინსკის გამოცდილება, კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში მიღებული, გამოადგება რუსეთის სარკინისგზო უწყებაში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში. საფრანგეთის ჟურნალისტთან საუბრის დროს დზერჟინსკიმ მიუთითა იმაზე, თუ როგორ მალე ხერხდება არა მარტო ტრანსპორტის აღდგენა, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგების და მასთან ერთად აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც უფრო ენერგიულათ ებრძოდენ კონტრ-რევოლიუციას, ისეთივე ენერგიით მხარს უჭერენ კერძო ინციატივას მრეწველობის აღდგენაში, ტრანსპორტის და სხვა, დაიცავენ მათ საბოტაჟისაგან და არა მეგობრულ კრიტიკისაგან ზოგიერთი მხრიდან.

მუშათა მოძრაობა ჰოლანდიის ინდოეთში. 1912 წელს კუნძულ იავაზე გლეხებმა შექმნეს მუსულმანური ორგანიზაცია—სარეკატ ისლამ; მისი მომხრეთა რიცხვი მერყეობს ერთი და ორ მილიონ შორის. მის წიაღში, თავის მხრივ, შექმნა ორგანიზაცია, რომელიც აშკარად სდგას კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე და რომელმაც მიიღო **ინდოეთის კომუნისტურ პარტიის სახელწოდება.** იგი თავის რიგებში ითვლის 10,000 კაცს და მას დიდი გავლენა აქვს სარეკატ ისლამში.

მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა. მრავალი კომუნისტები გადასახლებულია სხვადასხვა კუნძულებზე, მრავალი ციხეებში ლპება.

კომუნისტებმა მიზნად დაისახეს აგრეთვე პროფკავშირების მოძრაობის განვითარება. რკინის გზელთა პროფკავშირი ითვლის 16,000 წევრს და ემხრობა პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალს. მის გარდა არის კიდევ შემდეგი პროფესიონალური კავშირები: ნავთსადგურების მუშების (10,000 კაცი), მბეჭდავთა კავშირი (6,000 კ.), შაქრის მრეწველობის მუშების (20,000 კ.), ნავთის მრეწველობის (2,000 კ.), სახელმწიფო წარმოებების მუშების (6,000 კ.) და სხვ.

პროფკავშირების აქტიურად გამოსვლას და გაფიცვების მოწყობას მოყვა ხელფასის გადიდება. რკინის გზელების ხელფასი ორჯერ გადიდდა; შაქრის მრეწველობაში სამუშაო ქირა თითქმის სამჯერ გადიდდა; ნავთის მრეწველობაში საკმაო შეიქნა გაფიცვით მხოლოდ დამუქრება, რომ ხელფასის გადიდება მომხდარიყო 30 პროცენტით.

პროფკავშირებმა შესძლეს მუშათა მასსებში სოლიდარობის შეგნების განვითარება. 1920 წელს სუმატრაზე იფეთქა 15,000 მუშის გაფიცვამ, რომელიც ორი კვირა გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ისინი დიდ თანაგრძნობას პოულობდნენ გლეხობაში და მუშებში, რომელნიც გაფიცულთ აწვდიდნენ საჭმელს. 1921 წ. ტერნატეს კუნძულზე ნავთსადგურის მუშებმა, რიცხვით 4,000 გადაიტანეს ხუთი კვირის გაფიცვა და მიაღწიეს ნაწილობრივ გამარჯვებას.

1919 წლიდ. არსებობს პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არის ამხ. ვერაგსმა—კოლონიის კომუნისტურ პარტიის მდივანი. 1921 წ. ნაციონალისტებმა შექმნეს განხეთქილება, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარში კომუნისტებმა აღადგინეს მთლიანობა.

კაპიტალიზმის მსოფლიო კრიზისმა ჰოლანდიის ინდოეთსაც შეეხო. აქაც კაპიტალი შეტევას აწარმოებს მუშების ხელფასის წინააღმდეგ. აგვისტოში მთავრობამ შეამცირა რკინის გზელების ხელფასი

ადგილობრივ პროლეტარიატის ორგანიზაციების ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ჰოლანდიის მოხელეების და მოსამსახურეების მოძრაობას, რომელიც მოწამლულია ყვითელ ამსტერდამის სულით.

— **მუშათა წინამძღოლები და ეპისკოპოსები.** როგორც გაზეთი „რაბოტნიკი" (ორგანო პ. პ. ს.) გადმოგვცემს, ინგლისის პროფესიონალურ კავშირების (ტრედ უნიონების) კონგრესის გამო ლივერპულის ეპისკოპოსმა გადაიხადა სპეციალური პარაკლისი და უძღვნა სიტყვა ყრილობას. თავის მხრივ ჰენდერსონი არ დარჩა დავალიანებული და ადგილობრივ ეკლესიაში წარმოსთქვა სიტყვა: „გუგული აქებს მამალს იმისთვის, რომ მამალი აქებს გუგულს".

არჩევნები ამერიკაში. 7 ნოემბერი—არჩევნების დღეა ამერიკის კონგრესში. საარჩევნო კომპანია უკვე დაიწყო და მიმდინარეობს ამერიკის მასშტაბით. რესპუბლიკანური პარტია, რომლის ხელთ არის ამ ჟამად ძალა უფლება, მოელის ხმების დაკარგვას. მიუხედავად ამისა იგი ყოველივე ძალას ხმარობს იმისათვის, რომ სრული დამარცხება არ განიცადოს და არ მოუვიდეს ის, რაც დაემართა წარსულ არჩევნებში, როდესაც დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტად გაიყვანა „დემოკრატი" (ვილსონი), თუმცა კონგრესის უმრავლესობა რესპუბლიკანელებისაგან შესდგებოდა. გარდინგის პრეზიდენტობის მთელ ხანაში რესპუბლიკანელებმა განიცადეს მხოლოდ დამარცხება როგორც საშინაო პოლიტიკაში: მემაღაროების და სხვ. გაფიცვები. გარეშე პოლიტიკაში: ვაშინგტონის კონფერენციის სრული ფიასკო; არც საფრანგეთმა, არც იტალიამ არ მოახდინა ხელმოწერილი ხელშეკრულებების რატიფიკაცია, და ფაქტიურად მისი დადგენილებები არსად არ იქნა გატარებული; მათ გვერდი აუარეს თვით ამერიკაშიაც, სადაც შეიარაღება, დაწყებული სამხედრო გემების აშენებიდან—შხამების და მხრჩოლავი გაზების ფაბრიკატით გათავებული, მიმდინარეობს კოლოსალურ ტემპით. დემოკრატიული პარტია ყველა დამარცხებას, რასაკვირველია, გამოიყენებს არჩევნების დროს და რესპუბლიკანელებს საგრძნობლად შეასუსტებს. არჩევნების დროს არა ნაკლებ როლს ითამაშებს რუსეთის და დარდანელის საკითხები.

გარდინგის შეხედულებები ამ ბოლო დროს პოულობენ წინააღმდეგობას მრეწველებში, რომელთაც აქვთ სურვილი დაინახონ შავ ზღვაზე ამერიკის გემები ამერიკული საქონლებით. ამერიკაში შიშობენ, რომ ერთა ლიგის ნიღაბ ქვეშ ინგლისი მოახდენს დარდანელის მონოპოლიზაციას. იმ გარემოებას კი, რომ ამერიკა შორს დგას ერთა ლიგისაგან, ხსნიან გარდინგის დამარცხებით. ამრიგათ არჩევნების შედეგს გადამწყვეტი გავლენა ექნება ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე. ასეთია საქმის ვითარება ბურჟუაზიულ ბანაკში.

საწინააღმდეგო ბანაკიდან პირველად ამ არჩევნებში მოისმის ახალი ხმა. ამერიკის კომუნისტურმა პარტიამ დაადგინა ეს არჩევნები გამოიყენოს ფართე კომუნისტური აგიტაციისათვის და გამოაშკარავოს არა მარტო „დემოკრატების" და რესპუბლიკების ფიზიონომია, არამედ გომპერსის და „მუშათა წინამძღოლების" საქმენი საგმირონი.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასკომის მეორე სესია

ამხ. ლენინის სიტყვა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. 31 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიის სხდომაზე გამოვიდა სიტყვით ამხ. ლენინი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო მისალმებით წითელი არმიისადმი, რომელმაც დაიკავა ვლადივოსტოკი. „მე ვფიქრობ, სთქვა ამხ. ლენინმა, რომ წითელმა არმიამ დიდი ხნით გვიხსნა ჩვენ თეთრ-გვარდიელების თავდასხმისაგან. აქ მოსჩანს აგრეთვე ჩვენი დიპლომატიის მუშაობა, რომელსაც მომავალში მოუხდება გამოსვლა დიადი მნიშვნელობის საკითხში ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე ლოზანში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დიპლომატია შეასრულებს თავის ამოცანას".

შეეხო რა სესიის საკანონმდებლო მუშაობას, ამხ. ლენინმა ხაზი გაუსვა შრომისა და მიწის შესახებ მიღებულ კოდექსების უდიდეს მნიშვნელობას.

საამშენებლო საქმე.

30 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია ვოლხოვის საამშენებლო განყოფილების შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია მიღწეული წარმატებანი სამუშაოში და დაუშვებლობა მომავალში რაიმე შეფერხებისა რევოლიუციის ამ უდიდეს მონაპოვარის განხორციელებისათვის. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომი ადგენს აღიარონ ვოლხოვის საამშენებლო განყოფილების ფულით მომარაგება დაუკმაყოფილებლად და შემოიღონ მისთვის თანხების მიწოდების განსაკუთრებული წესი.

ამას გარდა დაადგინეს დაარსონ საგანგებო კომისია ვოლხოვის საამშენებლო განყოფილების წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა გამოარკვიონ საშუალებების მიწოდების შეფერხების მიზეზები და აღმოაჩინონ ამ საქმეში დამნაშავენი.

ამხ. ზინოვიევის მოწოდება.

სხდომის დასასრულს ტრიბუნაზე ადის ამხ. ზინოვიევი, რომელიც მოუწოდებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს მოაწყოს სახელმწიფოში მასიური ხელის მოწერა. პეტროგრადის „რევოლიუციის მსხვერპლთა მოედანზე", ყოფ. „მარსოვის მინდორზე", რუსეთის რევოლიუციის მსხვერპლთა ძეგლის ასაგებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. „დეილი ტელეგრაფ"-ი იტყობინება, რომ საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო ჰრესა შიშობს, რომ რუსეთის ბაზარი ხელში არ ჩაიგდოს სხვა სახელმწიფოებმა და მოუწოდებს საფრანგეთის მრეწველებს და ფინანსისტებს გადასდგან ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის განახლებისათვის.

იაპონია და რუსეთი

მოსკოვი. 1 ნოემბერი. იაპონიის ჰრესა დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებას.

ვლადივოსტოკის აღების შემდეგ

უბორევიჩის დაჯილდოება.

მოსკოვი. 1 ოქტ. სამხედრო რევოლუციონურმა საბჭომ დააჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის არმიის მთავარსარდალი უბორევიჩი.

სავაჭრო პალატა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ვლადივოსტოკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან ვლადივოსტოკში შესულ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის არმიას. პალატა აღუთქვამს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობას ყოველგვარ დახმარებას.

დარჩენილი გემები.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ამერიკის და საფრანგეთის კონსულებმა აცნობეს მთავარსარდალს, უბორევიჩს, რომ გემების დატოვება ვლადივოსტოკში არ არის გამოწვეული რაიმე პოლიტიკური მიზნებით. გემების დანიშნულებაა უცხოელების დაცვა.

ამხ. ჩიჩერინი შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

— ჩვენ კმაყოფილებით ვიგებებით „პრიმორიის" და ვლადივოსტოკის ევაკუაციას. ჩვენ დიდიხანია ველოდით ამ მომენტს. ყველა იმ სახელმწიფოებიდან, რომელნიც მონაწილეობდნენ ინტერვენციაში, იაპონიამ პირველმა დაიწყო იგი, ყველაზე უკანასკნელად ამთავრებს მას, მაგრამ მაინც ამთავრებს.

ჩვენი გულწრფელი სურვილია, გადავდგათ კიდევ ახალი ნაბიჯი და დავსდოთ იაპონიასთან ფორმალური შეთანხმება, ისე როგორც ჩვენ შევთანხმდით ევროპის ბევრ სახელმწიფოებს. დღემდის ჩვენ ამას ვერ ვახერხებდით. დაირენში იაპონიასთან დაწყებული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, იმიტომ რომ იაპონიის იმპერიალისტების მადა ჯერ კიდევ იმდენად დიდი რომ მათთან შეთანხმება ამდინხანს შეუძლებელი იყო. მთავარი სადაო საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ იაპონიას სურს თავის განკარგულებაში დაიტოვოს ჩრდილოეთ სახალინი. ჩვენ ამის დათმობა არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, და თუ იაპონიის მთავრობა ხელს არ აიღებს ამ მოთხოვნილებაზე, მაშინ არა თუ არ მოხდება იაპონიასთან შეთანხმება, არამედ მომავალშიაც იქნება მუდმივი გართულებათა საბაბი.

„პრიმორიის" ევაკუაცია არის შედეგი იაპონიის ბურჟუაზიის ზეგავლენისა გაბატონებულ სამხედრო წრეებზე, ამასთანავე ევაკუაციის მომხრეთა მნიშვნელოვან არგუმენტს შეადგენდა იაპონიის ფინანსიური გართულება, ამავე ფინანსიურმა გართულებამ გაადვილა იაპონიაზე დიპლომატიური ზეგავლენა სხვა სახელმწიფოებისა კერძოთ კი ამერიკის მთავრობისა, რომლისათვისაც მიუღებელია იაპონიის ექსპანსია მატერიკზე, ვინაიდან ამერიკას სურს განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა ციმბირთან.

ციმბირში მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა ძალიან გაართულა იაპონიის მდგომარეობა ჩინეთში.

სცლის რა „პრიმორიეს", იაპონია მაინც არ ამბობს უარს თავის ზრახვებზე ჩრდილოეთ მანჯურიაში იგი აძლიერებს იქ თავის გარნიზონს, უწევს ყოველგვარ დახმარებას მანჯურიაში გამაგრებულ ჩანძოლინს, აძლევს იქ თეთრგვარდიელებს და აწვდის მათ იარაღს.

ვლადივოსტოკიდან იაპონიის ჯარების გასვლის დროს ადგილი ქონდა ისეთ ფაქტებს, რომლებსაც მომავალ მოლაპარაკების დროს იაპონიასთან, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ უყურადღებოთ.

ვლადივოსტოკში, რუსის ჯარების შესვლამდე ადგილი ქონდა რბევას და ძარცვა გლეჯას.

იაპონელების ასეთი პოლიტიკა ძალიან დიდ უაზრობათ უნდა ჩაითვალოს, იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეებს არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რუსეთის მეგობრული ურთიერთობა ჩინეთთან ძალიან სწრაფად და წარმატებით ვითარდება.

საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი ბუნებრივი მოკავშირეები არიან და ამ მეგობრულ პოლიტიკას კარგი მომავალი ექნება.

პეკინში რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. იოფეს ჩასვლის შემდეგ, მეტად მეგობრულ ურთიერთობას ჩინეთთან და შეთანხმების შემუშავებას ჩინეთის მთავრობასთან მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

რეაქცია იტალიაში

ახალი ცდა

მოსკოვი. 1 ნოემბერი. 30 ოქტომბერს ფაშისტების ჯგუფმა სცადა „ავანტის" რედაქციის დაკავება, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მცველებმა. სროლის დროს მძიმედ დაჭრილია 16 ჯარისკაცი და ორი ფაშისტი.

ახალი შეტაკება.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ფაშისტები შეიჭრენ ფლორენციაში და პიზაში, ალყა შემოარტყეს სახელმწიფო ყველა დაწესებულებებს, გადასჭრეს ტელეგრაფები და ტელეფონის მავთულები. რეგულიარულმა ჯარებმა აიძულეს ფაშისტები დაეტოვებინათ სახელმწიფო დაწესებულებები. ტოსკანის ყველა ქალაქში ადგილი ჰქონდა ანალოგიურ გამოსვლებს.

სამხედრო ჯგუფი

მოსკოვი. 1 ნოემბერი. რომში ძალაუფლება გადაეცა სამხედრო უწყების ჯგუფს. ქუჩებში დადიან პატრულები და ჯავშნიანი ავტომობილები.

„პროგრამა".

მოსკოვი. 1 ნოემბერი. მუსოლინს განზრახვა აქვს დაიფაროს საზოგადო სარგებლობის წარმოებები „პროფესიონალურ და სხვა მუშათა ორგანიზაციების კაპრიზებიდან" და აკრძალოს გაფიცვები აღნიშნულ წარმოებებში.

მუსოლინის პორტფელი.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. მუსოლინმა დაიკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრების ადგილი. მინისტრების უმრავლესობას წარმოადგენს ფაშისტები-ნაციონალისტები.

რეაქცია იტალი

ფაშისტების დემობილიზაცია

კროიდონი. 1 ნოემ. ახალი კაბინეტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ ფაშისტებმა დემობილიზაციის და სახლებში დაბრუნების ბრძანება მიიღეს.

კომუნისტების დაპატიმრება

კროიდონი. 1 ნოემ იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში დატუსაღებულია კომუნისტური პარტიის რამოდენიმე ლიდერები.

კომუნისტურ პარტიის გადაწყვეტილება

რომი. 1 ნოემ იტალიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გაიწვიოს პარლამენტიდან კომუნისტი დეპუტატები.

გერმანიაში

„როტე ფანე"-ს დახურვა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი, ბერლინის პოლიციის შეფმა, რესპუბლიკის „დაცვის" კანონის ძალით, დახურა „როტე ფანე" ორი კვირით მიმოსვლის მინისტრის საწინააღმდეგო წერილის გამო, რომელმაც უარი უთხრა რკინის გზელებს მოთხოვნილებაზე სამუშაო ქირის შესახებ.

გერმანიის ნაციონალისტების ყრილობა.

მოსკოვი. 1 ნოემ. ბერლინში გაიხსნა გერმანიის ნაციონალისტების ყრილობა. ნაციონალისტების პარტიის თავმჯდომარემ გერგტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობა უნდა აღიგვეს, თუ ის, საფრანგეთის მოთხოვნილებათა დამორჩილებით დაუშვებს გერმანიის სუვერენიტეტის დარღვევას. ჰინდენბურგის სახელს, რომელიც წარმოსთქვა ორატორმა, დამსწრეები მხურვალედ მიესალმნენ. ყრილობაზე მეფობს აშკარა ფაშისტური განწყობილება.

ტერორისტული აქტები.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. მიღებულია ცნობები ტერორისტული აქტების შესახებ, რომლებსაც ამ დღეებში ამზადებენ მემარჯვენეები. ამის გამო მიღებულია ზომები რეიხსკანცლერის რეზიდენციის დასაცავად.

რკინის გზელები.

მოსკოვი. 1 ნოემ. სამუშაო ქირის საკითხში გერმანიის მთავრობის შეურიგებლობის გამო, აუცილებელია განხეთქილება რკინის გზელებისა და მთავრობის შორის. რკინის გზელთა კავშირის თავმჯდომარე ღებულობს გერმანიის ყველა კუთხეებიდან დეპეშებს, რომ რკინის გზელები მზად არიან ბრძოლისათვის.

მდგომარეობა ინგლისში

პარტიების შორის.

მოსკოვი. 1 ნოემ. ირკვევა, რომ ბონარ-ლოუს პარტია შეშინებულია ლოიდ ჯორჯის მომხრეების გავლენის ზრდით. კონსერვატორების შორის ამის გამო ფეხს იკიდებს კოალიციონური განწყობილება. უკვე მოხდა მთელი რიგი არა ოფიციალური შეთანხმებათა კონსერვატორებისა და ლიბერალების ლიდერების შორის, რათა არჩევნებზე არ გამოვიდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ. ორთავე პარტიები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული ხმების გაყოფა გამოიწვევს მუშათა პარტიის გაძლიერებას.

ურთიერთობა საფრანგეთთან.

მოსკოვი. 1 ნოემ. ინგლისის ახალმა ფინანსთა მინისტრმა ბოლდუინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ახალი მთავრობა ეცდება პირველყოვლისა გააუმჯობესოს ურთიერთობა საფრანგეთთან.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 1 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ინგლისის მუშებს, რომელშიაც მოუწოდებს ხმა მისცენ მუშათა პარტიას. მოწოდებაში ნათქვამია:

„მიუხედავად ჩვენი იმედისა, რომ ლიდერები (დამახინჯებულია). პარტიების, მიიღებენ რა უმრავლესობას პარლამენტში, გასცემენ მუშათა კლასის ინტერესებს ბურჟუაზიის სასარგებლოდ, კომინტერნი მოუწოდებს კომუნისტებს და მუშებს ხმა მისცენ მუშათა პარტიას, სანამ ინგლისის პროლეტარიატის უმრავლესობა აუცილებელ რევოლიუციონურ ბრძოლაში არ დარწმუნდება კომპარტიის პროგრამის და ტაქტიკის სისწორეში და არ მიემხრობა კომინტერნს.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

ფრანკის დაცემა.

მოსკოვი 1 ნოემ ფრანკის ახალი დაცემა დიდ მღელვარებას იწვევს პარიზში.

ავსტრია

მონარქისტული პარტია.

მოსკოვი. 1 ოქტ. ავსტრიაში დაარსდა ახალი მონარქისტული პარტია.

უნგრეთი

კომუნიზმთან ბრძოლა.

მოსკოვი. 1 ნოემ. უნგრეთის ქალაქებში ამას წინად დააპატიმრეს 150 კაცი კომპარტიის მომხრეობისათვის. დაპატიმრებულთა ნაწილი 80—100 კაცი გაყოფილია ორ ჯგუფად—ხელმძღვანელები და მომხრეები. ხელმძღვანელები გადაცემული იქნებიან საველე სასამართლოსათვის, მათ ელის ჩამოხრჩობა.

ლატვია

შურს იძიებს.

მოსკოვი. 1 ნოემ. რიგის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ამხ. კლიავო-კლიავინს, რომელიც გაემგზავრა რიგაში ოჯახურ საქმეებისათვის. დაპატიმრების შემდეგ კლიავო კლიავინს სცემეს. ჩააგდეს ციხეში და მისცეს სამხედრო-სასამართლოს, მიუხედავათ პრემიერ მეიეროვიჩის მრავალჯერ დაპირებისა, რომ ის იქნება განთავისუფლებული.

კლიავო-კლიავინზე განაჩენი წარმოადგენს შურის ძიების აქტს ჯაშუშების რეწესი და მიძუს რევტრიბუნალის მიერ დასჯის გამო.

ამხ. კლიავო კლიავინი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ იყო შეტანილი გადასაცვლელთა სიაში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კონფერენცია განიარაღების შესახებ.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ბალტიის განაპირა სახელმწიფოების და საბჭოთა რუსეთის კონფერენცია განიარაღების საკითხის შესახებ დანიშნულია მოსკოვში 30 ნოემბრისათვის.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. დაწყებულია მუშაობა სასოფლო სამეურნეო მანქანების დამამზადებელ ქარხნებში.

სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. გაიმართა ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრ-გლეხების თათბირი სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობ მთავარ კომიტეტთან. არჩეული კომისია რ. ც. ა. კ. წევრ. გლეხებისაგან, გამოფენისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ელექტრონის სადგური როსტოვში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ელექტროსადგურის აშენება როსტოვში დამთავრებულია. მუშაობა გაგრძელდა სამი თვე და დამთავრდა ვადამდე ორი თვით ადრე.

ტყავის მრეწველობა ტულაში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ტყავის მრეწველობა ტულაში უდრის ომიანობამდე წარმოებულის 70 პროც.

შიმშილის შედეგებთან ბრძოლის კომისიაში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სრულ. რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტ. შიმშილთან ბრძოლის კომისიაში ამხ. კამენევმა მოხსენების დროს განაცხადა: უცხოეთის ორგანიზაციების მიერ შემოტანილია რესპუბლიკაში 22 576.200 ფ. სურსათ საქონელი, მათში 83 პროც. შემოტანილია რუსეთ-ამერიკის ადმინისტრაციის მიერ. ნანსენის ორგანიზაციის მიერ შემოტანილია 13 პროც. და დანარჩენი შემოტანილია მუშათა ორგანიზაციების მიერ.

მურმანის მხარის კოლონიზაცია.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სრულიად რუს. ც. ა. კ პრეზიდიუმის სხდომაზე გარჩეულ იქნა საკითხი მურმანის მხარის კოლონიზაციის შესახებ. დადგენილია მიიღონ ზომები მურმანის რკინის გზის მოქმედების გასაძლიერებლად.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

საბჭოთა სახალხო სასამართლოში დაიწყო მოსკოვის შრომის ბირჟაში აღმოჩენილ მექრთამეების საქმის გარჩევა.

მოსკოვის ქალაქის ბანკში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. მოსკოვის ქალაქის ბანკის წესდება დამტკიცებულია. ბანკს ხსნის მოსკოვის საბჭო. ძირითადი კაპიტალი—20 000 აქცია, ღირებული თითო 50 000 მანეთი. მოსკოვის საბჭომ შეიძინა აქციების ნახევარზე მეტი.

აზერბეიჯანი

ბრძოლა წყალდიდობის წინააღმდეგ.

ბაქო. აზერბეიჯანის ცენ. აღმ. კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიმართეს მტკვრის სანაპირო მცხოვრებლებს შემდეგი მოწოდებით: „გადაარჩინეთ ნათესები წყალდიდობისაგან, და სახლები დანგრევისაგან მტკვრის სათავეში დიდი წვიმების გამო, წყალმა 3 საჟენით აიწია. მაღალი ტალღები მიექანებიან თფილისიდან ევლახის და პეტროპავლოვსკისაკენ. წყალდიდობა მოსალოდნელია ევლახში 27 ოქტომბერს, პეტროპავლოვსკში 30 ოქტომბერს.

დაკეტეთ მიწით და ხის ტოტებით ყველა მტკვარიდან გაყვანილი არხები. დაამზადეთ ქვები და საჭირო მასალა იმ ადგილებში სადაც წარსულ წლებში გადმოვიდა მდინარე ნაპირებიდან. წადით ურმებით, ნიჩბებით, წერაქვებით. მომდგარ საშიშროებასთან ბრძოლა მინდობილი აქვთ აღმასკომებს. აღმასკომების პირველ მოთხოვნილებასთანავე წადით ყველა სამუშაოზე. ტეხნიკოსების ჩვენებით დაუყოვნებლივ შეუდგეთ სუსტი ადგილების გამაგრებას ერთად, როგორც ერთი ადამიანი დახვდით წინ წყალდიდობას!"

პარტკონფერენცია. სტეპნის დივიზიის კომუნისტების პირველი პარტიული კონფერენცია დასრულდა. კონფერენციამ მუშაობა დაიწყო იმ მომენტში, როდესაც სამხედრო ნაწილებში ახალგაზრდა წითელ არმიელების ახალი კადრები შედიან, რომელთა აღზრდის საქმეში გაწეული უნდა იქნას სერიოზული მუშაობა.

ობიექტიური პირობები: ნაწილების გადაჯგუფება და სხვა და სხვა მოვალეობის ასრულება, რასაკვირველია ხელს უშლიდენ პარტიულ და პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოებას. მაგრამ უკანასკნელ დროში მუშაობას გაცხოველება ეტყობა. მომუშავეთა კადრი გაუმჯობესებულია, სკოლები, კლუბები და ბიბლიოთეკები ენერგიის მაქსიმუმს იჩენენ. პოლიტიკურ განყოფილების კავშირი ადგილებთან აღდგენილია.

კონფერენციამ დაადგინა გააუმჯობესოს მხედარის პოლიტიკური და კულტურული დონე.

გამოტანილია დადგენილება, რათა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის და წითელ არმიელის მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიებმა მეტი კავშირი გააბან ადგილებთან. კონფერენციამ მიაქცია ყურადღება ნაკლს კოოპერატიულ მუშაობაში და აჩვენა ახალი გზები ასაცილებლად.

წყალდიდობა საქართველოში

წყალდიდობა სუჯუნის და ნაესაკოვის თემებში (აბაშის რაიონი, სენაკის მაზრა)

რიონი გადმოვიდა კალაპოტიდან.

1922 წ. 24 ოქტომბერს სუჯუნის და ნაესაკოვის თემებს იწვია დიდი უბედურება. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მდ. რიონი გადავიდა თავისი კალაპოტიდან და 24 ოქტომბერს ღამით ხსენებულ თემებს იწვია მოულოდნელად გამანადგურებელი წყალდიდობა.

წყალმა წაიღო სარჩო-საბადებელი.

გალმა ანჯელი, რომელიც წარმოადგენს დიდ მოსავლიან სივრცეს არა თუ აბაშის რაიონისათვის არამედ მთელი სენაკის მაზრისათვის, სადაც ის ის იყო გლეხობამ მიჰყო ხელი სიმინდის მოტეხას, 24 და 25 ოქტომბრის წყალდიდობამ სრულებით გაანადგურა. სასიმინდეების უმრავლესობა წაღებულია წყალდიდობით. ერთი საჟენიანი სიმაღლე წყალი ფარავდა ანჯელის სივრცეს და წარმოიდგინეთ რა დარჩებოდა. კალოს მაგიერათ დაყრილი სიმინდი სულ წაიღო წყალმა, ძირად დარჩენილი სიმინდი წაქცეულია, წასილულია და დამპალი. გალმა არ მოიძებნება ერთი სული საქონელი. ყველა დამხრჩვალია. წყალ-დიდობამ მოასწრო ხალხს მაშინ როდესაც სიმინდს ტეხავდა.

ამხ. გეგეჭკორი ადგილობრივ.

25 ოქტომბერს დილით სუჯუნის თემს ეწვია ამხ. საშა გეგეჭკორი სამსონ მამულაია და თავის თვალით ნახეს ხალხის გაჭირვება. ამხ. საშამ და სამსონ მამულიამ ნავით შემოიარეს სოფ. ზანიკარი სადაც დიდი წყალი იყო და ხალხი განიცდიდა მეტ უბედურებას.

ბავშვების და ქალების წივილ-კივილი.

თავის თვალით ნახეს ქალების და ბავშვების წივილ-კივილი, რომლებიც თავის დასახსნელად ასულიყვნენ ხეებზე და ბევრი გადარჩენილია ამნაირათ.

ხალხი პურს თხოულობს.

ხალხი თხოულობდა პურს და ამხ. საშა გეგეჭკორის განკარგულებით ფოთიდან ჩამოსულნი მეზღვაურები ფელუკებით და ნავებით აწვდიდენ პურს ხეზე ასულ ადამიანებს. ამხ. საშა გეგეჭკორის ჩამოსვლა ამ ხალხის დიდ-უბედურების დროს მანუგეშებელი იყო. ლაპარაკობდენ: „გვყოლია პატრონი და აწი არა გვიშავს რამო". თვით ამხ. საშა თვითონ მუშაობდა თავის ხელით და უშიშრად მიექანებოდა იქითკენ, სადაც დიდი უბედურება იყო.

მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა.

მთელი ადმინისტრაცია სენაკის მაზრის ფეხზე იდგა და თავს არ ზოგავდა ხალხი გადაერჩინათ შიმშილისაგან და დახრჩობისაგან, კიდეც მიზანი მიღწეულ იქმნა: ხალხის მსხვერპლი ნაკლებად არის. ასე და ამ რიგად მთელი წლის ნამუშევარი სარჩო საბადებელი ხალხს ხელიდან გამოაცალა, გამოსტაცა შეუბრალებელმა სტიქიურმა მოვლენამ და ვინ იცის კიდევ რამდენი ზარალია. ეს ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

ელიან დახმარებას.

ღრმად მოხუცებულები ლაპარაკობენ, რომ ასეთი წყალ-დიდობა ჯერ არ გვინახავსო. საჭიროა დროზე კიდევ დახმარება ამ გაჭირვებულ ხალხზე, რომ გადავარჩინოთ ავადმყოფობას და სხვა. ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი მთელი წლის ნამუშევარის დაკარგვით და ელის დახმარებას საბჭოთა მთავრობისაგან.

ფახკაძე.

—

ჭიათურის რაიონი.

ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა ჭიათურას. საშინელი წვიმები დაიწყო 23 ოქტომბერს და გასტანა 26 დღ; მდინარე ყვირილა გადმოვიდა ნაპირიდან და დაჰფარა ჭიათურა და დარკვეთი. დარკვეთიდან დაწყებული შორაპნამდე რკინის გზა ამ ჟამათაც წყლის ქვეშ არის; ასე რომ გამოურკვეველია თუ რამდენათ დაზიანებულია ლიანდაგი. მიღებულ ცნობებით გზის გასწორებას მოუნდება დაახლოვებით სამი კვირა. ხეობაში გზები გაფუჭებულია, ხიდები წაღებულია დანგრეულია სახლები, დაზიანებულია თითქმის ყველა ქარხნები.

დარკვეთის რაიონში დანგრეულია ყველა სამრეწველო დაწესებულებები; თვითონ ჭიათურაში ნიაღვარმა წაიღო თითქმის მთელი ბაზრის ნახევარი. მცხოვრებლები თავს შველიდენ სახურავებზე და რამდენიმე დღე იქ იყვნენ მოთავსებული.

შავი ქვის საწყობები წყლით არის სავსე, დაიღუპა 12 მილიონი ფუთი შავი ქვა. სილით და ტალახით გაფუჭებულია 6 მილიონი ფუთი. სარეცხ ქარხნებში დასატვირთად გამზადებული ქვა წაღებულია. ზარალი ასი მილიარდობით ითვლება.

ფოთში

ბათუმი. ფოთში წყალდიდობამ იმსხვერპლა მრავალი საქონელი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ამ ჟამად წყალმა დაიკლო. რკინის გზაზე ზარალი დიდია. საჯავახოს წყალდიდობამ ცოტაოდენი ზიანი მიაყენა; არის ადამიანის მსხვერპლიც.

ბორჯომში

წყალმა დაიწყო ადიდება ჯერ კიდევ 24 ოქტომბრის დილიდან და ჩქარა დაფარა ყველა არხები, რომელიც მომზადებული იყო მდინარის ნაპირებზე კედლების საძირკვლებად. დიდი მეცადინეობით გამოტანილ იქნა ნაპირზე ელექტრონის მატორი, რომელიც ჩადგმული იყო ძირს წყალის საქაჩავად ევგენიევის წყაროს მახლობლად. ბორჯომკაზე გადებული დროებითი ხიდი სასტუმრო „მინერალნიე ვოდი"-ს მახლობლად მიბმულია ხეებზე ორივე მხარეზე.

წყალი სულ მატულობდა და საღამოს 9 საათზე აიწია 3 არშინის სიმაღლეზე. მინერალურ წყლების პარკის ზევით და ელექტრონის სადგურის მახლობლად იგი გადმოვიდა ნაპირებიდან და წაღეკა ყველაფერი რაც წინ დახვდა.

ღამით შიშობდნენ, რომ ბორჯომკა არ გადასულიყო ნაპირებიდან და არ დაეფარა ქვემო ნაწილში მდებარე საცხოვრებელი ბინები, ვინაიდან მტკვარში მომატებული წყალი აგუბებდა ბორჯომკას შესართავთან. მცხოვრებლებს მთელი ღამის განმავლობაში არ დაუძინიათ.

ღამე მშვიდობიანი იყო, მაგრამ წყალი იმავე სიმაღლეზე იყო, როგორც წინა ღამით, ვინაიდან მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა, მტკვარი ძალიან ადიდდა და ძლივ ძლივობით იტევდა ოლღას ხიდის ქვეშ. საუბედუროდ ხიდის ქვეშ დაგროვდა წყლის მიერ წამოღებული ხეები, რამაც შეაგუბა ხიდთან წყალი. ყოველგვარი ცდა, რათა ხეები გაეშვათ წყალში უშედეგოდ დამთავრდა.

წყალმა 25 ოქტომბრის განმავლობაში დიდი ზიანი მიაყენა ქალაქს.

ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის ხაზი სასტუმრო „მინერალნიე ვოდის" მახლობლად ჩარეცხილია 20 საჟენის მანძილზე. რელსები ჩაეშვნენ წყალში. გზის გადაწევა აღარ ხერხდება, ვინაიდან კლდემდის ერთი საჟენი დარჩა ადგილი. სად. ბორჯომ პარკთან ნაპირი ჩარეცხილია რკინის გზის ხაზამდე. დანარჩენ ადგილებში ნაპირები ჩარეცხილია რამდენიმე საჟენის მანძილზე. სად. ბორჯომ-პარკთან მტკვარის მხრივ შეგუბების გამო ბორჯომკის მთელი კალაპოტი ავსილია ქვებით და სილით. დანგრეულია არხი, რომლიდანაც მიდიოდა წყალი წყალსადენს და ელექტრონის სადგურს, რის გამოც ქალაქი დარჩა უგანათლოთ და უწყლოთ.

ვიწრო ლიანდაგიანი ხაზის დანგრევის გამო შეწყვეტილია ბორჯომის წყლის ექსპორტი. ევგენიევის წყაროს კაპტაჟი არ დაზიანებულა. მიუხედავად იმისა, რომ სრულებით გაშიშვლებული იყო წყალდიდობის მიერ.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

რეზოლიუცია.

აფხაზეთი.

ქ. სოხუმის კომუნისტური ორგანიზაციის, აფხაზეთის პროფკავშირების წითელ-არმიელთა და ახალგაზრდობის კომუნისტ. კავშირის გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლაკობასი საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მხურვალეთ ეგებება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის იდეას. ამ კავშირში უნდა შევიდნენ ხელშეკრულების ნიადაგზე რუსეთის სოც. საბჭ. ფედერატიული რესპუბლიკა, უკრაინა, ბელორუსია და ამიერ კავკასიის ფედერაცია (საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი გაერთიანებულნი საკავშირო საბჭოს სახით) კრება გამოსთქვამს რწმენას, რომ ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი და საკავშირო საბჭო გადაჭრით მხარს დაუჭერენ ამ იდეის განხორციელებას.

გაუმარჯოს მთლიან ძლევამოსილ კავშირს საბჭოებისას!

გაუმარჯოს გაერთიანებულ საბჭოთა ფრონტს, მიმართულს კაპიტალის წინააღმდეგ!

კრების თავმჯდომარე **ნერონოვი.**
კრების მდივანი **ბოკუჩავა.**

ახალ სენაკი.

სამაზრო პარტკომის პლენუმი ერთხმად იწონებს და ეგებება კომისიის დადგენილებას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ და სთხოვს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ დააყოვნოს კომისიის დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერი **ი. ჩაკვეტაძე.**

მიტინგი.

მრავალრიცხოვანმა მიტინგმა 23 ოქტომბერს ქ. ახალ-სენაკში, მოისმინა რა ამხ. საშა გეგეჭკორის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის ახალი ურთიერთობის შექმნის საჭიროების შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მიტინგს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის ერთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში გაერთიანება.

უმაღლეს ორგანოდ ყველა კავშირში შემავალ რესპუბლიკებისათვის იქნება საკავშირო ცენტრალური აღმასკომიტეტი, სადაც გაერთიანებულ იქნებიან ყველა რესპუბლიკების საგარეო საქმეთა, სამხედრო-საზღვაო, საგარეო ვაჭრობის და ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატები, ხოლო დანარჩენი ადგილობრივ ხასიათის კომისარიატები, როგორიცაა: განათლების, მიწათ-მოქმედების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სხვა თითოეულ რესპუბლიკაში დარჩება დამოუკიდებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსებას!

გაუმარჯოს საბჭოთა-სისტემას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ზუგდიდი

24 ოქტომბერს გაიმართა სამაზრო პარტიული კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის პლენუმების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების საკითხის შესახებ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება კომისიის დადგენილების გამო დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების უკრაინის, ბელორუსიის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის შესახებ ზუგდიდის მაზრის პარტიულ კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის პლენუმების გაერთიანებული სხდომა მიესალმება კომისიის დადგენილებას და აუცილებლად სთვლის ასეთის სწრაფად ცხოვრებაში გატარებას".

საბჭოთა საქართველოში

აჭარა.

ხიდის შეკეთება. აჭარის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა მოახდინოს კაპიტალური შეკეთება რკინის ხიდის ბათომ-ახალციხის გზატკეცილზე, რა მიზნითაც მიმართა სახ. კომისართა საბჭოს თხოვნით სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტისათვის 2134 მან. 93 კაპ. მიცემის შესახებ.

საჩუქარი წერა კითხვის მცოდნეთ. კომუნისტური მეურნეობის სამმართველომ თავის შეფის ხარჯზე დააჯილდოვა ქართულ პოლკის 25 წითელ არმიელი იმისათვის, რომ მათ წარმატებით შეისწავლეს წერა კითხვა. ყოველ მათგანს მიეცა 500.000 მანეთი.

საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

ერთიან პარტიულ დღეს

3 ნოემბერს დასვან საკითხი ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებზე. ტეზისების მიღება შეიძლება ტ. კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში და რაიონულ კომიტეტებში.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა გაზეთის გზავნა არ იქნეს შეწყვეტილი, ვთხოვთ ხელისმომწერლებს თავის დროზე გამოიწერონ გაზეთები გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროპ. № 24).

ხელისმოწერის ფასები წინანდელია. ხელის მოწერა შეიძლება ან ერთი თვით ან წლის ბოლომდე.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მასიურ ხელისმოწერის დროს, ხელისმოწერა მიიღება 15 რიცხვიდან თვის ბოლომდე, 15 დან შემდეგი თვის 15 რიცხვამდე. (0—1)

ქ. ტფილისში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ კომისიისაგან

ამ წელში არის ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაული. ეს დღესასწაული განსაკუთრებულ საზეიმო პირობებში ტარდება: 7 ნოემბერს იხსნება კომუნისტურ ინტერნაციონალის 4 კონგრესი, რომელზედაც პირველად ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. ლენინი. კონგრესი აწარმოებს მუშაობას მოსკოვში—მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამ ცენტრში, რომლის ირგვლივ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს გაერთიანების სურვილი აქვთ.

7 ნოემბერი შექნება ყველა მშრომელთა გაერთიანების და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის დღეთ.

ზეიმისათვის ფართო ხასიათის მისაცემად, ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა იუბილე იდღესასწაულოს სამი დღე 5, 6 და 7 ნოემბერს.

სადღესასწაულო ზეიმის გეგმა:

1) 5 ნოემბერი—მუშათა და წითელ არმიელთა დაახლოების დღე. დღისით—მუშების და წითელ-არმიელების მიერ ყაზარმებში და წარმოებებში მისვლა-მოსვლა ცხოვრების და მისი პირობების გასაცნობად.

საღამოს—მუშების, წითელ არმიელების და [illegible] გაერთიანებული სხდომები.

დაახლოების ორგანიზაცია ეკისრება რაიონებს და წითელ-არმიელთა ნაწილებს.

2) 6 ნოემბერი—აგიტაციის დღე.

დღის პირველ საათზე საწარმოო დაწესებულებებში და წითელ არმიელთა ნაწილებში მიტინგები თემაზე: „ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავი“.

საღამოს რაიონულ და წითელ არმიელთა კლუბებში რევოლიუციონურ მოგონებათა და პოლიტიკურ გასამართლებათა საღამოები.

3) 7 ნოემბერი—მიტინგები რაიონებში, ალლუმი და ზეიმი.

დაწესებულებებში და წარმოებებში თავის მოყრა დილის რვა საათზე. თავმოყრის შემდეგ მიდიან რაიონულ მიტინგის ადგილზე, სადაც თავს იყრიან სათანადო სამხედრო ნაწილებიც. მიტინგები გაიხსნება დილის 9 საათზე.

პირველი რაიონი: დილის 9 საათზე მიტინგი „ნაძალადევის“ მოედანზე. მარშრუტი: ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, სადგურის ქ. დიდუბის მოედანზე შეხვევით.

მეორე რაიონი: მიტინგი ჩერქეზოვის მოედანზე თამბაქოს „კომეტა“-ს ფაბრიკასთან.

მარშრუტი: ჩერქეზოვის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, ვორონცოვის ხიდზე შეხვევით, მიხაილოვის ქუჩა მუშტაიდით დიდუბეში.

მესამე რაიონი: მიტინგი კახეთის მოედანზე მესამე რაიონულ კომიტეტთან.

მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხაილოვის პროსპ., მუშტაიდით დიდუბეში.

მეოთხე რაიონი: მიტინგის ადგილი რუსთაველის პროსპექტი, ვერის დაღმართი და ხიდი, პლეხანოვის პროსპექტი, მუშტაიდით დიდუბეში.

ყველა რაიონებში პროცესიის მსვლელობის შემდეგი წესია მიღებული: წინ ორკესტრი და წითელ არმიელთა ნაწილები, შემდეგ მუშათა ორგანიზაციები.

მთელი გეგმის შესრულების მიზნით ყველას ევალება თავის დროზე მოვიდეს დანიშნულ ადგილზე.

რაიონულ მიტინგების მოწყობა ეკისრება რაიონულ კომიტეტებს.

სიტყვებით გამოდიან პასუხისმგებელი ორგანიზატორები (რაიკომებიდან), კავკასიის ცალკე არმიის წარმომადგენელნი.

ალლუმი დანიშნულია დიდუბეში დილის 11 საათზე. ცუდი ამინდის შემთხვევაში ალლუმი გადატანილი იქნება რუსთაველის პროსპექტზე, ცხენების ჯირითი მოხდება მახლობელ სადღესასწაულო მზიან დღეს.

ალლუმზე სიტყვებით გამოვლენ: ამხ. ორჯონიკიძე, ეგოროვი, ორახელაშვილი, ვრაჩევი, მიასნიკოვი, ელიავა, ლომინაძე და კახიანი მ.

ალლუმის გათავების შემდეგ ცხენების სპორტი (დოღი, ჯირითი და სხვა).

საღამოს ყველა თეატრებში, კლუბებში, კინოებში უფასო წარმოდგენები.

4) ბავშვებისათვის: 6 ნოემბერს 5 საათიდან ყველა კინოებში უფასო სეანსები; 7 ნოემბერს 12 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში საოპერო წარმოდგენა და ხუთი საათიდან უფასო სეანსები ყველა კინოებში.

5) ბილეთების განაწილება მოზრდილთათვის მოხდება პროფკავშირების და წითელ არმიელთა ნაწილების საშუალებით. ბავშვთათვის—პროფკავშირების, სკოლების და ბავშვთა სახლების საშუალებით.

6) ყველა სანახაობათა დაწვრილებითი პროგრამა დაბეჭდილი იქნება განსაკუთრებულ აფიშებში.

ქ. ტფილისში ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

სწავლა-განათლების საქმე საქართველოში

გორის მაზრ.

სწავლა-განათლების საქმე გორის მაზრაში წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში ცუდ პირობებში სწარმოებდა. სკოლების უვარგისი შენობები, სათბობი მასალის ნაკლებლობა, სკოლების ოდნავადაც მოუწყობლობა მეტად აფერხებს სწავლა განათლების სასურველად მიმდინარეობას.

გორის მაზრაში უკანასკნელ მიწისძვრისაგან დანგრეული და დაზიანებული სასკოლო შენობები დღესაც შეუკეთებელი და მოუგვარებელია. გორის ჰუმანიტარული და პედაგოგიური ტეხნიკუმისა და შრომის სკოლების შენობები ნახევრად დანგრეულია, სახურავები დაზიანებული აქვს და საკლასო ოთახებში მეცადინეობა უამინდობის დროს, მეტად ძნელია.

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი თუმცა შეთანხმებით მუშაობს განათლების განყოფილებასთან, მაგრამ უსახსრობის გამო მოკლებულია საშუალებას მცირედი დახმარებაც აღმოუჩინოს სკოლებს ამიტომ განათლების განყოფილებას ვერ მოუხერხებია ვერც ერთი სასკოლო შენობის შეკეთება, ვერ შეუძენია სულ უბრალო საჭირო ისეთი ნივთები, როგორიცაა ცოცხი, ჩვარი, ცარცი და სხვა. განათლების განყოფილებას და სასწავლებლების გამგეებს ნივთიერად ხელმოკლეობის გამო ის მცირე სასწავლო ნივთები, რომელნიც მათ ჯერ კიდევ მოეპოვებათ, დაცული აქვთ მინგრეულ-მონგრეულ სადღაც ბნელ სარდაფებში და მათი დალაგება და დაბინავება საკლასო ოთახებში ჯერაც კიდევ ვერ მოუხერხებიათ.

ცხადია, უკანასკნელმა მიწის ძვრამ მეტად დააზარალა როგორც ქალაქი გორი, ისე მთელი გორის მაზრა, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებასა და თვით საზოგადოებას რომ გამოეჩინა საკმაო ინიციატივა მაინც, სასკოლო საქმე გორის მაზრაში ასე უწყეო და უნუგეშო მდგომარეობაში არ იქნებოდა ჩაყენებული. განათლებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მოწმობით გორის მაზრის მკვიდრნი, სრულ მცირედის გამონაკლისით, მეტად გულგრილად ეკიდებიან მოზარდი ახალთაობის სწავლა-განათლების საქმეს.

ცხადია, გორის მაზრის მკვიდრთა სწავლა-განათლებისადმი გულგრილობა გამოწვეულია მრავალი საპატიო მიზეზებით, მაგრამ ფაქტს მაინც საჭიროა ანგარიში გაუწიოთ და ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ამ კულტურულად ჩამორჩენილ კუთხეს განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით უნდა მოეპყრას როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება. სწორეთ იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი უბრალო და მივარდნილ სოფლებშიაც კი ტეხნიკუმების გახსნას დაჟინებით მოითხოვენ და არავითარ ხარჯს არ ერიდებიან, ოღონდაც კი თავის შვილებს სწავლა-განათლება მისცენ, ქართლში, საქართველოს ამ დედა გულში, ადგილობრივი მკვიდრი სიხარულსაც კი გამოსთქვამს, თუ იშვიათ შემთხვევაში სადმე სკოლა დაიხურება.

სწორედ ამ მიზეზების გამო საჭიროა ყველა კულტურული ძალების ამოძრავება, რომ ამ კუთხის მკვიდრთა სწავლა-განათლების სფეროში მოხსენებულ ინდიფერენტიზმს სამუდამოთ ბოლო მოეღოს და ამრიგად ჩვენ რესპუბლიკის ეს მნიშვნელოვანი კუთხეც საერთო კულტურულ აღმშენებლობის გარეშე არ დარჩეს.

განათლების განყოფილებას წარსულ წლის განმავლობაში გორის მაზრაში, შექმნილ მძიმე პირობების გამო, ვერ მოუხერხებია მოეწვია მასწავლებელთა კონფერენცია და განემარტა შრომის სკოლის ახალი პრინციპები, გაეწია თეორიული ხელმძღვანელობა მასწავლებლობისათვის. წლის განმავლობაში განყოფილებას მხოლოდ მახლობელი სასწავლებლები დაუთვალიერებია და უმეტესი ნაწილი მაზრის სასწავლებლებისა კი დაუთვალიერებელი დარჩენია.

განათლების განყოფილების განმარტებით, სწავლის ნორმალურად მიმდინარეობა, საერთო კრიზისის გარდა, მაზრაში შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ ექვსი კვირის განმავლობაში მეტ წილს სასწავლებლებისას არ უმეცადინიათ, ვინაიდან მთელ გორის მაზრაში მძვინვარებდა ქუნთრუშა და ყვავილი და ექიმების მოთხოვნილებით სწავლის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

განათლების განყოფილებას ადგილობრივ პირობების მიხედვით შესაძლებლობის ფარგლებში შეუკვეცია და შეუმცირებია გორისა და ხაშურის რაიონებში სასწავლებელთა რიცხვი და ამ ჟამად დატოვებულია ქ. გორში ორი ტეხნიკუმი, ერთი საბავშო სახლი, ხაშურში ერთი ტეხნიკუმი და 96 შრომის სკოლა.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში გორის მაზრაში სწავლა-განათლების მდგომარეობა, ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით მოახდინა შემდეგი განკარგულებანი:

1. დახურულ იქნას გორის ვაჟთა ჰუმანიტარული ტეხნიკუმი და შეუერთდეს იგი პედაგოგიური განყოფილების სახით (თუ მოწაფეთა რიცხვი ნორმას აღემატება) ქალთა ჰუმანიტურ ტეხნიკუმს. ქალთა ტეხნიკუმთან არსებული შრომის სკოლა გადატანილ იქნას ვაჟთა ყოფილ ტეხნიკუმში.

2. დახურულ ვაჟთა ტეხნიკუმის გამგე ამბროსი ბებურიშვილი განთავისუფლებულ იქნას თავის თანამდებობიდან.

3. დადასტურებულ იქნას ქ გორში პედაგოგიური ტეხნიკუმი, მაგრამ, ვინაიდან ეს ტეხნიკუმი კომისიის მიერ სასწავლებლის დათვალიერების დროს მეტად ანტიპედაგოგიურ და ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, განყოფილებამ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები სასწავლებლის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად.

4. გადატანილ იქნას გორის ერთ-ერთი შრომის სკოლიდან პედაგოგიურ ტეხნიკუმთან ორი განყოფილება საცდელ სანიმუშო სკოლის მიზნით.

5. მიეცეს განათლების კომისარიატის საშუალებიდან გორის ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ ტეხნიკუმების გამგეებს ამ სასწავლებლების ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

6. დამტკიცებულ იქნას გორის განათლების განყოფილების შტატი შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების გამგე—ერთი, ინსტრუქტორი სამი, მათ შორის ერთი გამგის მოადგილედ, მდივანი (იგივე მოანგარიშე) ერთი, მემანქანე (იგივე რეგისტრატორი) ერთი და დარაჯი ერთი.

7. დაევალოს გორის აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივი საშუალებიდან დააკმაყოფილოს ჯამაგირებით: 1. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების ტეხნიკური მომუშავენი, 2) სკოლების სანიტარული ექიმები, 3) განათლების განყოფილების შტატის მთელი შემადგენლობა, გამგის გარდა; დააკმაყოფილოს ადგილობრივი საშუალებიდანვე სასწავლებლების რემონტისა და მთელი სამეურნეო ხარჯები.

8. დამტკიცებულ იქნას გორისა და ხაშურის რაიონების ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში 320 მასწავლებელი, ხოლო ვინაიდან გორის მაზრა ძლიერ საგრძნობლად დაზარალებულია მიწის ძვრისაგან და ეკონომიურად დიდ გაჭირვებას განიცდის, აღიძრას სათანადო შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ეს მაზრა განთავისუფლებულ იქნას ადგილობრივი გადასახადისაგან მასწავლებელთა შემადგენლობის შესანახად.

ეკონომიური ცხოვრება

ნატურგადასახადი

სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობით, პირველ ნოემბრისათვის აღმოსავლეთ საქართველოს 10 მაზრაში შემოსულია ნატურალური გადასახადი 507,122 ფუთი ხორბალი, რაც უდრის გადასახადის 88 პროცენტს

თხილის მომარაგება.

სასურსათო სახალხო კომისარიატის კომერციული განყოფილება შეუდგა თხილის მარაგის შეძენას ოზურგეთის მაზრაში. განზრახულია რუსეთის ბაზრისათვის 10,000 ფუთი თხილის შეძენა.

მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.

გუშინ, 1 ნოემბერს ეტყობოდა ყველა საქონელზე ფასების დაწევა. ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით, ფასის დაცემა მეტადრე ეტყობოდა ნატეხს შაქარს, რომლის ფასი 30 ქაღალდის ოსმალურ ლირიდან დავიდა 25—26 ლირამდის ფუთი. დაეცა სახარინის ფასიც. შესაძლებელია კიდევ დაეცეს ფასი. ფქვილი ღირს ფუთი 790-800 ათასი—ამერიკული „ნელსონი“, ამერიკული „დურუმი“—550—570 ათასი, ნარმა [illegible] „ს“ ნაჭერი—3,180, შევიოტი უბრალო, არშინი—350 550, საპონი „ტოლლე“—ფუთი—1,150.

შავი ქვის წარმოება.

სექტემბრის განმავლობაში ფოთიდან გაზიდულია 1.417.578 ფუთი მარგანეცი, ბათომიდან კი—62.000 ფუთი. ამ ჟამად ქვის დამუშავების ორგანიზაცია სუსტობს.

ტყიბულის მაღაროები.

ენკენისთვის პირველ კვირის განმავლობაში დამუშავებული იყო 35.000 ფუთი ქვა; გაიზიდა 9 872 ფ.

პირველმა ნიაღვარმა მისცა ზარალი ტყიბულის მაღაროებს 11200000 მან.

ამ ჟამად ნიაღვარმა კვლავ გააფუჭა ნიადაგი და გაავსო წყლით მაღაროები. მუშაობა კვლავ შეჩერებულია.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობის მიმოხილვა ქუთაისის მაზრაში სექტემბრის თვის განმავლობაში.

სამაზრო კომიტეტი თავის ამოცანის პირველ რიგში აყენებს პარტსკოლის გახსნას, რიმაც მკვიდრი საფუძველი უნდა ჩაუყაროს მარქსისტული აზროვნების შესწავლას და პარტიულ ამხანაგთა პოლიტიკურათ მომზადებას. ამ მხრივ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები და ახლო მომავალში სკოლა დაიწყებს მუშაობას.

იქნა ჩატარებული წინასწარი მუშაობა სამაზრო პარტკონფერენციის მოსაწვევად, რისთვისაც მოწვეულ იქნა რაიონული პარტკონფერენციები, მაგ. ხონში, სამტრედიაში და ტყიბულში.

მოწვეულ იქნა 4 საერთო პარტკრება, ორი გაერთიანებული (რუსულ და ქართულ წითელ-ლაშქრულ კომუნისტებთან).

მოწყობილ იქნა აგრეთვე კომუჯრედების ფართო ღია კრებები მთელ ქუთაისის ქალაქის რაიონში. დასმულ იყო დღის წესრიგში „რელიგია და საბჭოთა ხელისუფლება“.

ესეთივე კრებები ხდებოდა, როგორც რკინის გზის ლიანდაგზე, აგრეთვე სხვა და სხვა რაიონებში და სოფლებში. ღია კრებებმა უპარტიო მასსა ფართოდ მიიზიდა.

ამასთანავე ერთად იმართებოდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად საერთო კრებები, მიტინგები, იკითხებოდა ლექციები და სხვა. ჩატარებულ იქნა სხვა და სხვა კომპანიები.

რაიონებში გაცხოველებულია მუშაობა; პარტიული კრებები ხდება რეგულიარულად, სადაც სწარმოებს მუშაობა სამაზკომის მიერ მიცემულ გეგმის თანახმად. მუშაობა განსაკუთრებულ ინტენსიურათ სწარმოებს რკინის გზის ლიანდაგზე სამტრედიის, ქუთაისის და ტყიბულის რაიონებში. თვით ტყიბულში პარტმუშაობა ცოტათ შემცირდა, რადგანაც წყალდიდობის გამო დროებით შეჩერდა ნახშირის გატანა, რამაც გამოიწვია მაღაროებში მუშაობის შეწყვეტა; მაღაროების მუშები კი გადაყვანილ იქნენ გზების შესაკეთებლათ. სოფლად დაწყებული რთველი აფერხებდა ნორმალურ პარტიულ მუშაობას.

ქალთა შორის მუშაობა საშუალოთ სწარმოებს. იმართება ქალთა საერთო კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები რელიგიაზე, ან არჩევენ „კომუნიზმის ანბანს“ და სხვა. ქალთა მასსა ასეთ კრებებს საგრძნობლათ ეტანება.

სამაზკომის ქალთა განყოფილებას დასახული აქვს მიზნად გამოუშვას თვეში ერთხელ ადგილობრივ გაზეთში: „ქალთა ფურცელი“.

ახალგაზრდათა კომკავშირის და პარტიულ ორგანიზაციის შორის სუფევს მჭიდრო კავშირი. პარტორგანიზაცია უწევს სისტემატიურ ხელმძღვანელობას ახკომკავშირს, იმართება შეერთებული კრებები როგორც პარტკომებში, აგრეთვე კომუჯრედებში. ახკავშირის მიერ იცემა „წითელი ახალგაზრდობის ფურცელი“ ყოველ კვირაში.

ალ. ბ—ძე.

მუშათა ცხოვრება

ყორგანოვის საპნის ქარხანა

ამ ჟამად აქ მუშაობს 2 მუშა. სამუშაო შენობა ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. შენობაში არ არის საკმაო სინათლე ზამთარში ურემონტოთ ამ შენობაში მუშაობა შეუძლებელი იქნება. კედლები ერთიანად პირდაღებულია და ქარი თავისუფლად ნავარდობს. შრომის დაცვის კანონებს ნაკლებათ აქვს ყურადღება მიქცეული. არა აქვთ არც პირსაბანი და არც პირსახოცი. ქარხნის ტეხნიკური მოწყობილობაც მოითხოვს გაუმჯობესობას. ტანისამოსი მუშებისა გაჭუჭყიანებულია და გარეცხა თუ საჭირო, ეს კი ვერ წარმოუდგენიათ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი მუშა მიღებულია შრომის ბირჟის გარეშე. ცხადია ყორგანოვს განსაზღვრული მიზნები ამოქმედებდა, როდესაც ხსენებულ მუშას ბირჟის გარეშე ღებულობდა. ასეთი გზით მას უნდოდა იაფათ გამოსვლა. იმედია ასეთ მოვლენებს ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღება და ბირჟის გარეშე მიმღები ხაზეინები სასტიკად დაისჯებიან. **მოხული.**

ყოფილი „ტოლლეს“ საპნის ქარხანა

ქარხანაში ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობაა. ქარხანა ამზადებს ყოველდღე 120—150 დიუჟინ ტუალეტის საპონს და 70 ფუთ კაზანის საპონს. ამ ქარხნის მუშებს ერთი უხერხული მდგომარეობა გვაქვს. ჭუჭყში გვიხდება მუშაობა. თვით წარმოების სამუშაო ხასიათი ასეთია, ამას ვერ გავექცევით. მაგრამ უბედურება ისაა, რომ აბანოთი სარგებლობის საქმე არაა მოწესრიგებული, ორ კვირაში ერთხელ გვაძლევენ აბანოს უფასოთ სარგებლობის ბილეთს. ეს სრულიად არაა საკმაო. ჩვენს პირობებში მომუშავეს კვირაში ორჯერ მაინც უნდა აბანო. სასურველია ვისგანაც ჯერ არს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს. **პ. ს.**

კოსტანოვის სადურგლო

სადურგლოში მუშაობს 7 კაცი. ყველანი პროფკავშირებში არიან ჩაწერილნი. მათი ნივთიერი მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო. ხელფასი მეტად მცირე აქვთ. მართალია, კოლექტიური ხელშეკრ. დადებულია, მაგრამ მაშინ მუშები მოსტყუვდნენ. ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებას უკვე გაუდის ვადა. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს სასურველია კავშირმა მუშებს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს და დაიცვას მათი ინტერესები. ბინების საკითხიც ძალიან მწვავეთ სდგას ამ მუშებისათვის. ყოველი მათგანი ცხოვრობს უვარგის ბინაში.

საზღვარს გადასული სახლის მეპატრონე

არ იქნა და არა, სახლის მეპატრონეთა თავგასულობას ბოლო არ მოეღო. სახლის მეპატრონენი იმდენათ გათამამდნენ, რომ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც არ ჯერდებიან და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიან. შეურაცხყოფილი მუშა-მოსამსახურენი იურიდიულ ბიუროს საშუალებით ცდილობენ შელახული უფლებების აღდგენას. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ამ რამდენიმე ხნის წინათ. სახლის მეპატრონე კიზირიამ, რომელიც ცხოვრობს პარალელურ ქუჩაზე № 15, დიდი შეურაცხყოფა მიაყენა როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი ამავე სახლში მდგომ პროფკავშირის წევრს ვერა ლიმონი—ს. ხსენებულმა კიზირიამ ქალისადმი ზრდილობაც კი დაივიწყა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ საქმეში კიზირიას დახმარება გაუწია თავის ცოლმაც. ასეთი გათავხედებულ სახლის მეპატრონეთა რიცხვი მრავალია, მათ ჭკუა ვერ ასწავლა საბჭოთა კანონებმა და კვლავ განაგრძობენ თავიანთ საგმირო საქმეებს.

ეს თავხედი მოქალაქე სამაგალითოდ და სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

ვინმე.

მუშათა სახლები

ამას წინათ ვსწერდით, რომ მუშათა სახლებს შეკეთება ესაჭიროებათქო. როგორც სჩანს, ქალაქის აღმასკომს ამ გარემოებისათვის სათანადო ანგარიში გაუწევია. შეკეთება უკვე დაიწყო. პირველ რიგში რემონტს უკეთებენ ისეთ სახლებს, რომელიც საშიშია დანგრევის მხრივ, შემდეგ შეუდგებიან სახურავების და თვით შენობის შეღებვას. ძალიან მწვავეთ სდგას სახურავების შეღებვის საკითხი. უკვე ზამთარი გვესტუმრა, წვიმებიანი ამინდები გაგვიხშირდა და თუ სახურავებზე დროით არ ვიზრუნეთ, ბინებში წყალი ჩამოდგება და ცხოვრება შეუძლებელი იქნება. სასურველია სახურავების შეღებვის სამუშაო დაკვრითი წესით იქნეს შესრულებული.

პ. ქ.

მეტი ყურადღება

ყოველი დარგის მუშებში არსდება შრომის არტელები. ამჟამად უკვე არსებობს წაღების მკერავთა დარგში, ხის მომუშავეებში, მღებრებსა და სხვა მრავალ დარგებში. უპირველეს ყოვლისა ასეთ არტელების მიზანი არის—უმუშევრობასთან ბრძოლა. მკითხველებს კარგად მოეხსენება, თუ როგორ გამრავლდა უმუშევართა რიცხვი. უმუშევართა ზრდის შესაჩერებლათ და მოსასპობათ უდიდეს საშვალებათ შეიძლება ჩაითვალოს შრომის არტელები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ შრომის არტელს თავის თავად დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია, თუ მას დახმარება არ ექმნა სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან. შრომის არტელებს აუცილებლათ ხელი უნდა შეუწყოს და დახმარება გაუწიოს სახელმწიფო დაწესებულებებმა და მუშათა ორგანიზაციებმა. მაგრამ სამწუხაროთ ცხოვრებაში ეს ასე არ ხდება. სახელმწიფო დაწესებულებანი, თუ მუშათა ორგანიზაციები, მიუხედავათ იმისა, რომ შრომის არტელები 30 პროც. ნაკლებათ იღებენ სამუშაოს, გვერდს უვლიან არტელებს და სხვებს აძლევენ სამუშაოს. რათ ხდება ეს ასე, გამოურკვეველია. იმედია სახელმწიფო დაწესებულებათა და მუშათა ორგანიზაციებს ასეთ მოქმედებას ბოლო მოეღება და საჭიროების დროს ისინი დაეყრდნობიან არა კერძო პირთ, არამედ მუშათა არტელებს.

უმუშევარი.

იმედი გაუმტყუნდათ

დასავლეთ საქართველოში მოსულმა დიდმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა ტყიბულის რკინის გზის ხაზს. რკინის გზის ხაზზე მოძრაობის აღსადგენათ, საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. ამისათვის საჭირო იყო მრავალი მუშა ხელი. გაიგეს რა მოიჯარადრეებმა საქმის ვითარება, მოინდომეს ასეთი გარემოებით ხელის მოთბობა და გაჩნდენ საჭირო ადგილზე. მაგრამ მათდა საუბედუროთ ამავე ადგილზე გაჩნდენ მუშები ქუთაისის პირველი შრომის არტელისა. გაიმართა მათ შორის შეჯიბრება. ერთ მხარეზე იდგა მტკიცეთ შეკავშირებული მუშათა რაზმი, ხოლო მეორეზე ურთიერთი ჯიბრობით გზა დაბნეული „ლიპიანი“ მოიჯარადრენი. გამარჯვება თავისთავად ცხადია მტკიცედ შეკავშირებულ რაზმს დარჩა. ქუთაისის პირველი შრომის არტელის მუშებმა სამუშაო უფრო იაფად აიღეს. მუშები ეწეოდნენ განუწყვეტელ შრომას, ყოველდღიურათ სამ წყებათ მუშაობდა 280 კაცი. მუშებმა გამოიჩინეს გასაკვირველი ენერგია, ისინი ქედს არ უხრიდნენ არავითარ დაბრკოლებას და მუშაობას ეწეოდნენ პირდაპირ ჯოჯოხეთურ პირობებში, რისი წყალობითაც თავიანთი დავალება პირნათლად შეასრულეს. ასეთი გარემოება ამტკიცებს თუ რა შეიძლება მტკიცედ შეკავშირებულ მუშებს.

ქუთათური.

წერილი დუშეთიდან.

დუშეთის მაზრაში სამკურნალო სასანიტარო დარგის მუშაკთა კავშირის წევრი მუშები და მოსამსახურეები მეტად მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. მეტად მცირე ჯამაგირი გვაქვს და იმასაც მთელი თვეობით და ორ თვეობით ვერ ვღებულობთ. პირდაპირ შიმშილობას განვიცდით. სამაზრო აღმასკომი ჩვენი ჯამაგირებით ძალიან დავალიანებულია, მის ძალღონეს აღემატება ამ ფულის გასტუმრება. ჯამაგირს ვერც ახლა ვღებულობთ თავის დროზე. აღმასკომი შევიდა ჩვენს მდგომარეობაში და ხელფასში ხორბალს გვირიგებს, მაგრამ რათ გინდა, ბაზარზე 180 ათასი მან. ღირს და ჩვენ 200 000 მანეთის ანგარიშში გვაძლევს.

სასურველია ცენტრი მოგვაქცევდეს ყურადღებას და ჩვენი ჯამაგირებით დავალიანებას დროით უზამდეს ლიკვიდაციას.

მ. ტ.

ხაშური.

ხაშურის დეპოში 575 მუშაა, ამაში 10 ქალია და 30 მოზარდი. მუშების მდგომარეობა უმჯობესდება. მუშები ხელფასს ღებულობენ, კოლექტიურ ხელშეკრულებით, აგრეთვე ასრულებენ სამუშაოს ნაჭრობითაც. ჯამაგირს ღებულობენ ყოველთვის თავის დროზე. შვებულების უფლებით ყველანი სარგებლობენ. კავშირი უდიდეს დახმარებას უწევს მუშებს. არსებობს შრომის დაცვის განყოფილება, რომლის მიზანიც არის თვალყური ადევნოს შრომის დაცვის კანონებს. თავის მოვალეობას განყოფილება პირნათლად ასრულებს და ცხოვრებაში ატარებს მუშათა უფლებების დამცველ კანონებს. მუშებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს, კითხულობენ ლექციებს და მოხსენებებს: შრომის დაცვასა მიმდინარე მომენტსა და სხვა და სხვა საკითხებზე. არსებობს რკინის გზის მუშათა კლუბი, რომელშიაც ითვლება 300 წევრი. კლუბთან გახსნილია სამკითხველო, რომელსაც მოსდის ყველა გაზეთები.

იქაური.

ქრონიკა

რუსთაველის თეატრი

„ხანუმა“

ოქტომბერი 31.

ქართული დრამის რეპერტუარი ნაკლებ სიმპტომებს იძლევა მიმდინარე სეზონის წლის გამართვისათვის. რამდენიმე კვირაა მისი გახსნიდან და ამ ხნის განმავლობაში ერთი წარმოდგინა არ ყოფილა სრული როგორც შინაარსის მხრივ, ისე შესრულებით: ზედიზედ მიდის ეტნოგრაფიული და უფრო სარიკატურო პიესები.

ძველი ამბავია, რომ ჩვენს თეატრს ნაკლებათ უყვარს ახალზე მუშაობა და მეტი პასუხისმგებლობისათვის ენერგიის გამოჩენა. და ეს დისონანსი, როგორც აღვნიშნეთ, ამ სეზონს თავიდანვე დაყვა. ეს სტოვებს დღენაკლული ბავშის შთაბეჭდილებას. როცა თეატრში შედიხარ და ესწრები „ხანუმას“ მაგვარ წარმოდგენას, ათვალიერებ უცხოელი არ იყოს, რომ უფრო მეტად არ იგრძნო სირცხვილი, სადაც მსახიობები ცდილობენ „ავტონომიური“ სიტყვებით და მიმიკით აუდიტორიის გამვლელ ნაწილს გამოტყუონ ტაში, რითაც კიდევ უფრო ახუნტებენ პიესის წონას, და რაც მანიშნებელია ეზოებში მოსიარულე თეატრის. ეს შემჩნეულია და საკმაოთ, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა „ხანუმამ“.

ჩვენ შარშანდელ სეზონზედაც ვამბობდით, რომ ასეთი დრომოჭმული პიესები შეიძლება მთელ სეზონში სანიმუშოთ დაიდგას ერთხელ, მაგრამ გვიხდება გამეორება.

ამ სეზონის დასი შემდგარია უმეტესათ ახალგაზრდებისაგან, რომელთაც ეტყობათ ნიჭი და, გვიკვირს—რამ დაუკარგა მათ მაინც ხალისი უკეთესის. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია და აღსანიშნავი, რომ ასეთი პიესების ხილვა მალე გამოკეტავს თეატრის კარებს, რადგან დღეს გაცილებით მეტი ღირს დრო, უფრო დიდია კულტურული საზომი და ესთეტიური სამზირი მოითხოვს დამპყრობ სანახაობას, ასეთ პირობებში კი უსულგულო და გაცვეთილ პიესების ტირაჟის გადიდება საზოგადოების დაცინვაა მხოლოდ. და აკი საზოგადოებაც გაურბის მას.

ჩ. ვ.

რუსთაველის თეატრი. დღეს, რუსთაველის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება აკაკი წერეთლის პიესა „თამარ ცბიერი“. პიესა წავა აკაკი ფალავას რეჟისორობით.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 2 ნოემბერს მიდის „ფაუსტი“ და „ვალპურგიის ღამე“. მონაწილეობას მიიღებენ: სპრიშევსკაია, ლევიცკი, კრიჟანოვსკი, შარაშიძე და სხ.

— **სომეხ მხატვრების ნაწარმოების გამოფენა.** 12 ნოემბერს სომეხ ხელოვანთა სახლეში გაიხსნება სომეხ მხატვრების სურათების გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ტფილისში მყოფი ყველა სომეხი მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი

ყაყან-ყაყანი.

და ლოზანოში შეიკრიბა კონფერენცია,
ბურჟუაზიულ ძველ სამყაროს „კვინტესენცია“:
მობძანდა ქშენით მძიმე ბარტუ და პუანკარე,
ფაქტამ და სფორცამ მათთან ერთად შემოჰკრეს კარი.
დააკლდათ რიგში ლლოიდ ჯორჯი, გვამი ცნობილი,
ნაცვლად კერზონ და ბონარ ლოუ, ახლად ცხობილი,
წინ წარსდგენ სხდომათ და ცენტრალურს დაბრძანდენ ადგილს
(ნუ ეხუმრებით: არ აწყობენ მუნ საქმეს ადვილს!)
ფეხის ფრჩხილებზე ვანდერველდეს შემოჰყვა ვირტი
(გულზე ებნიათ თითო მეკნარი „ყვითელი კვირტი“).
ასტეხეს ამათ ჩვეულებრივ ყაყან ყაყანი
(დიდი „კვერცხი“ აქვთ სრუტეთაგან გამოსატეხი).
შავ ზღვის საშოში ჩაისახა ის „კვერცხი“ რჩეული,
ბოსფორსა გასცდა, აწ დარდანელში არს გასავალი,
მაგრამ დასჭირდა გამოცდილი დედამანია.
ვერ შველის სმირნა, ვერც სტამბოლი, ვერც მუდანია.
და ეს რვა პირი რვა წყვილ ხელით საქმეს აგვარებს,
დიდის სიფრთხილით თვითეული „კვერცხს“ ხელს აკარებს,
რომ არ ჩაატყდეს თუ კვამ ხელში ეს „მოსწრებული“,
„კვერცხი“, სრუტეთაგან სანახევროთ გამოღებული.
მიტომ იმ „ბაგას“, სად ის უკვე დღეს აყენია,
გარს შემოერტყა უფროსობის ეს რვა გენია.
სხვებს მონაწილეთ არც კი სცნობენ, არც კი სცრებიან
და დამსწრეთ მოსულთ „ბაგიდგან“, შორს ერეკებიან...
მაგრამ უეცრად... ჰოი, ღმერთო! ჰოი ჰალახო!
ამაზე უფრო საოცარი კაცმა რა ნახო?!.
გამოხტა წრიდგან წითელი ჯუბა ხმალ ამოწვდილი
კოხტა ჰაბუკი, რიცხვით რაღაც ორიოდ წყვილი,
მაგრამ ამაყნი, უპოვარნი, ტანათ მძლევები,
დასჭკრის ხელი „კვერცხს“ და დაჰყარეს მუნ ნამტვრევები!..

—

ვინ არის ესე ოთხი გმირი გალაღებული,
ამდენ ხროვაში თავზე ასე ხელაღებული?!.
სამი — საბჭოთა რწმუნებული, ერთიც — ქემალი...
სხვებს კი — ნიორი, ხახვი, პრასა, ქინძი, ტყემალი...

—

და ასტყდა ირგვლივ ღრიანცელი, ქაქან ყაყანი:
დაიმსხვრა „კვერცხი“, ლოზანაში ძლივს მინატანი!..

ონისიმე.

ტვრები. აგრეთვე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა სომხებსაც. მსურველებმა თავიანთი ნაწერები უნდა წარმოადგინონ 9 ნოემბრამდე.

ბათუმი.

— **ბათომის დრამის დასი.** ბათომის ქართული დრამის მსახიობთა შორის მიწვეულნი არიან ან. ქიქოძე ანდრონიკაშვილისა და მიხ. ქორელი.

— **უფასო წარმოდგენები ფუხარა ხალხისათვის.** ბათომის თეატრის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს მომავალ ზამთრის სეზონში რამდენიმე ადგილი დაუთმოს სრულიად უფასოდ ფუხარა ხალხის ღარიბეს ნაწილს, რისთვისაც შესაფერისი შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე.

რუსეთი.

— **ამერიკელი პოეტი მოსკოვში.** მოსკოვში ჩავიდა ამერიკელი პოეტი ჯონ ვარნეი, რომელმაც ლიტერატორთა შორის წაიკითხა თავის ლექსები და წარმოსთქვა სიტყვა ამერიკის თანამედროვე პოეზიაზე. ჯონ ვარნეის სიტყვით ამერიკელი პოეტები თავის მამათმთავრათ თვლიან უიტმანს.

პროვინციაში

კოხნარის თემი
(ოზურგ. მაზრა).

კოხნარის თემი აღმოსავლეთ გურიის ნაწილია, შესდგება ოთხი სოფლიდან. მოსახლეთა რიცხვი ხუთას აღემატება. მდებარეობა მაღლობი და მთაგორიანია. სახნავ სათესი მიწების არ ყოფნის გამო აქაური გლეხობის უმრავლესობა ყანობენ ჭალებში ახჯელის და გულეკრის რაიონებში. მევენახეობას მაღლარს „ადესას“ მისდევენ, ვინაიდან დაბლარმა არ ივარგა. წელს, ზაფხულის ხანგრძლივმა წვიმებმა, 7—8 სექტემბრის ხიალვარმა და შავეყმმა მოსავალი ძალიან შეამცირა, მაგრამ 24—25 ოქტომბრის ბუნების სტიქიამ, მდ. რიონის და ნარიონების ნაპირებიდან გადმოსვლამ მეტათ დააზარალა, ყანები წალეკილია, მოტეხილი სიმინდის კალოები, სიმინდით სავსე ნალიები წაიღო, არის აგრეთვე მსხვერპლი ადამიანის და საქონლის. წელსაც სიმინდის მოსავალი ჩაითვლება მდარეთ, ღვინის კი 90 პროცენტით და მეტით ნაკლები გასულ წლებზე. ხალხში მძვინვარებს მალარია, იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ სანახევროთ არ იყოს დაავადმყოფებული. არის ხშირი შემთხვევები მუცლის ტიფის. ასეთი ავათმყოფობის დროს საფერშლო პუნქტები შტატების შემცირებაში მოყვა. საჭიროა ჯანმრთელობის განყოფილებამ ამას მიაქციოს ყურადღება, თორემ ზამთარში ჩაყოლილი ავათმყოფობა მეტ ზიანს მოიტანს. აღსანიშნავია აგრეთვე მეტათ ცუდი მდგომარეობა საჯავახო-ჩოხატაურის სახელმწიფო სოფლის გზის. სანახევროთ დაზიანებული ხიდები, ან წყლისაგან წაღებული, ან და დანგრეული. ეს გზა სახურნიაში ჯერ კიდევ 1918 წელში დაზავდა, აქ მას ჩამოუვლის მდინარე ხევის წყალი და იშვიათი მოვლენა იქნება ერთი ან ორი კაცის ან საქონელი არ იმსხვერპლოს წლიურათ. თემის გლეხობამ ამ გზის შეკეთება მოინდომა და მიმართა მაზრას განჩენით, რომლითაც კისრულობდნენ ფიზიკური შრომით თავისი წილის გაკეთებას, თუ კი სახელმწიფო აღმოუჩენდა ტეხნიკურ მასალას. თუ დაჩქარებით მთავრობის მიერ არ იქნა მიღებული ზომები, შესაძლებელი იქნება ტვირთ მზიდავთა და ეტლთა მსვლელობა შეჩერდეს.

თემში არსებობს სამი პირველ დაწყებითი შრომის სკოლა, ორი კოოპერატივი, ბიბლიოთეკა და ტელეფონი და აგრეთვე თემი შუამდგომლობს გახსნას დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი, რომლისთვისაც შესაფერი მამული და შენობა მზათ აქვს.

პარტიული მუშაობა კოხნარის თემში ძლიერია. კრებები სისტემატიურათ მიმდინარეობს, ამა წლის 25 ოქტომბერს აქ მოხდა პარტიული გაწმენდა, დაესწრო გამწმენდი კომისიის თავჯდომარე ამხ. შავიშვილი და საჭამიის სერის ინსტრუქტორ ორგანიზატორი ალექსანდრე კორტიკაძე. ის ზედმეტი ბარგი, რაც აწვა პარტიას, ჩირქს სცხებდა თავისი ცუდმოქმედებით, გამოირიცხა კომუნისტური რიგებიდან.

ვ. მაღულარია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 14.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ მიწათმოწყობის დებულების ზოგიერთი მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ მიწათმოწყობის დებულების ზოგიერთი მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დებულების პირველ მუხლში სიტყვა—„ერთიან“ შეიცვალოს სიტყვით—„მთლიან“; ამავე მუხლის მეორე აბზაცი შესწორდეს ასე: „ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი“.

2. დებულების მე 6 მუხლი მეორე აბზაციდან ბოლომდე შეიცვალოს შემდეგნაირად: „მოხუცებულ-დავრდომილთ, ქვრივ-ობოლთ, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრობენ, აგრეთვე მიწის-მუშა წითელ-არმიელს, მილიციონერს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას,—დაეტოვება სრული ნორმა“.

ყველა მუშა მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში, აგრეთვე კერძო წარმოების მუშებს,—დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

3. დებულების მე 8 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: მიწა მიეცემა ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებს მშრომელთა წრის ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ. ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი.

4. დებულების მე 15 მუხლს ბოლოში დაემატოს შემდეგი: „დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით და ჰკარგავს მიწის სარგებლობის უფლებას, ხოლო თვით ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 1
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 13

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია, რომელიც შესდგება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ჯანმრთელობის, შრომის, განათლების, იუსტიციის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, მუშათა მთლიანი კოოპერატივისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების თითო წარმომადგენელთაგან.

2. კომისიის დანიშნულებას შეადგენს:

ა) დამუშავება და სათანადო ორგანოების მეშვეობით განხორციელება იმ ღონისძიებათა, რომელნიც მიმართული იქნება ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რისთვისაც კომისია შეიმუშავებს და სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების მეშვეობით ცხოვრებაში გაატარებს ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონებს;

ბ) განსაზღვრა და განხორციელება, სათანადო ორგანოების მეშვეობით დედობისა და ბავშობის დაცვის სხვა და სხვა დაწესებულებათა ორგანიზაციისა, მარტოხელა ქალთათვის შეფარდომების სახლთა მოწყობისა და სხვ.

გ) ხელის შეწყობა ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის;

დ) ბრძოლა სიღარიბესა, უმუშევრობასა და პროსტიტუციასთან ქალთა შორის—მათი ჩაბმით შინა-მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა და სხვ. არტელებში, მათთვის მატერიალური შემწეობის აღმოჩენით, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, და აგრეთვე უმუშევრებისათვის საგანგებო დახმარებით.

3. კომისია გამოჰყოფს თავის შემადგენლობიდან საქმიან პრეზიდიუმს სამი კაცისაგან ქალთა განყოფილების წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

4. კომისიას უფლება ეძლევა ამა თუ იმ მუშაობისათვის კოოპტაციით მოიწვიოს სახალხო კომისარიატების სხვა წარმომადგენელნიც.

5. კომისიის ყველა დადგენილებას დაამტკიცებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და განხორციელდება სათანადო კომისარიატების და პროფესიონალური ორგანიზაციების მეშვეობით.

6. კომისიას ჰყავს მუდმივი მდივანი და სარგებლობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ტეხნიკურ აპარატს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ პარტსკოლის შენობაში (ყოფ. 1-ლი სავაჟო გიმნაზია, გოლოვინსკის და გიმნაზიის ქუჩის კუთხე, შესავლელი დამწვარი სახლის მხრიდან) შესდგება—**პირველი საუბარი მარქსისტულ წრეში** (ქართულ ენაზე).

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
ხუთშაბათს, 2 ნოემბერს
აკაკი წერეთლის
თამარ ცბიერი
დადგმა ა. ფალავასი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 491—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.
კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

ხუთშაბათს, 2 ნოემბერს
ფაუსტი
პარასკევს 3 ნოემბერს
ჯამბაზები და კარნავალი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 493—1—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—16)

საექიმო ფაკულტ. სტუდენტი
ალ. მამულაიშვილი
აკეთებს კან ქვეშ წამლ. შეშხაპუნებას, შეხვევას, ჭრილის ავადმყოფებს და სხვ. ღამითი მორიგეობა ავადმყოფ., მასაჟი, ყვავილის აცრა.
ღარიბებს უსასყიდლოთ. ბელინსკის ქ., ს. № 1. სახლშია 3—5.
(10—9)

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ლითონის განყოფილების (ლ. გ.)
ტეხნიკური კანტორა და მაღაზია
ტფილისი, პლეხანოვის ქ № 87. კიროჩნის შესახვევი.
ყველა სოფლის მეურნეთა და მშრომელ გლეხობის საყურადღებოდ
დამზადება სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების:
ყველა ზომის გუთნების, კულტივატორების, ხანიავლების, ფოცხების, სიმინდის საფშვნელების ყურძნის პრესების და საწნახელების.
დამზადება ტურბინების, წისქვილების, გიდრავლიურ პრესების.
ყოველგვარ მაძრავებელ მანქანების შეკეთება
ჩამოსხმა ბრინჯაოს, სპილენძის, თუჯის.
ავტომობილების მიმდინარე საშუალო და კაპიტალური შეკეთება
დიდი მარაგი ავტომობილების ყველა ნაწილების დაწყებული მოტორით და გათავებული ყველა სისტემების მანქანების შპლინტებით
მუშაობა დაწყო სპილენძის დასატკეცი ქარხანამ
გაბრტყელება სპილენძის
(ფურცლოვანი რკალის და ყოველგვარ ზომის რეალების)
ტყვიის გაბრტყელება.
(5—3)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო
სასამართლო

იწვევს სახალხო სასამართლოში მემკვიდრეების უფლების წარსადგენათ გარდაცვალებულ იოსებ ვალენტინეს ძის კალანდაძის ქონებაზე.
1-ლი ნოემბერი 1922 წელ.
484—1—1 სახალხო მოსამართლე მარ. ჩხეიძე.

მიმოსვლის ცხრილი

სამგზავრო მატარებლების ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 1 ნოემბრიდან 1922 წ.

თბილისიდან გადის:

ჩქარი მატ.	№ 5 რ.	გადის როსტოვში	11 ს. 40 წ.	საღამოს	ორშაბათობით	ჩადის როსტოვში	9 საათზე	00 წ.	საღამოს	ხუთშაბათობით
„ „	№ 5 მ.	მოსკოვში	11 ს. 40 წ.	„	შაბათს.	„ მოსკოვში	10 „	40 „	დილით	ხუთშაბათობით
„ „	№ 5 პ.	პეტროგრადში	11 ს. 40 წ.	„	ხუთშაბათს	„ პეტროგრ.	12 „	00 „	დღით	ოთხშაბათს
საფ. მატ.	„ 3 | 4 კახ. „	თელავში	7 ს. 15 წ.	დილით	კენტ რიცხვებში	„ თელავში	7 „	11 „	საღამოთი	კენტ რიცხვებში
საქ. მატ.	„ 21 | 22 კ. „		7 ს. 15 წ.	„	ლუწ რიცხვებში	„ თელავში	7 „	11 „	„	ლუწ. „
ჩქარი მატ.	№ 1	მიდის ბაქოსკენ	9 ს. 25 წ.	„	ხუთშაბ. და ორშაბათობ.	„ ბაქოში	8 „	25 „	დილით	პარასკეობით და სამშაბათობით
საფ. მატ.	№ 4	„ ბათომისკენ	5 ს. 00 წ.	საღამოს	ყოველდღე	„ ბათომში	10 „	30 „	„	ყოველდღე
სამ. საბ.	№ 25	„ ჯულფისკენ	11 ს. 00 წ.	„	ლუწ რიცხვებში	„ ჯულფაში	3 „	33 „	ღამით	კენტ რიცხვებში
სამ. მატ.	№ 20	„ ბორჯომისკენ	3 ს. 30 წ.	დღით	ყოველდღე	„ ბორჯომში	10 „	30 „	საღამოს	ყოველდღე
სამ. საბ. მ.	№ 21	„ ბაქოსკენ	7 ს. 15 წ.	საღამოს	ყოველდღე	„ ბაქოში	8 „	55 „	დილით	ყოველდღე
ჩქარი მატ.	№ 2	„ ბათომისკენ	9 ს. 00 წ.	საღამოობ.	ხუთშაბ. და კვირაობ.	„ ბათომში	12 „	05 „	დღით	პარასკეობით და ორშაბათობით
საფ. მატ.	№ 3—ე	„ ერევნისაკენ	5 ს. 25 წ.	„	კენტ რიცხვებში	„ ერევანში	6 „	00 „	საღამოს	ლუწ რიცხვებში
„ „	№ 3	„ როსტოვისაკენ	2 ს. 15 წ.	დილით	ყოველდღე	„ როსტოვში	5 „	20 „	დილით	ყოველდღე
ჩქარი მატ.	№ 6	„ ბათომისაკენ	5 ს. 35 წ.	დილით	ოთხშაბათობით როსტოვში, ორშაბათობით მოსკოვში, შაბათობით პეტროგრადში	„ ბათომში	8 „	30 „	საღამ.	ოთხშაბათს როსტოვში, ორშაბათს მოსკოვში, შაბათობით პეტროვსკში.
სამ. საბ.	№ 22	„ ბათომისკენ	1 ს. 25 წ.	საღამოს	ყოველდღე	„ ბათომში	4 „	35 „	საღამოთი	ყოველდღე.

თბილისში მოდის:

საბარგო მატ.	№ 21	„ ბათომიდან	11 ს. 35 წ.	საღამოს	ყოველდღე	მიდის თბილისში	5 საათზე	00 წ.	დილით	ყოველდღე
„	№ 26	„ ჯულფიდან	7 „ 30 „	„	კენტ რიცხვებში	„ „	11 „	55 „	საღამოს	კენტ რიცხვებში
ჩქარი მატ.	№ 5	„ ბათომიდან	6 „ 00 „	დილით	ორშაბათ. როსტოვში შაბათობით მოსკოვში, ხუთშაბათობით პეტროგრადში.	„ „	9 „	40 „	საღამოს	ორშაბათ. როსტოვში, შაბათობით მოსკოვში, ხუთშაბათს პეტროგრადში-
საფოსტო მატ.	№ 4	„ როსტოვიდან	11 ს. 00 წ.	საღამოს	ყოველდღე	„ „	1 „	00 „	დღით	ყოველდღე
სამგზავრო „	№ 19	„ ბორჯომიდან	12 „ 45 „	ღამით	„	„ „	7 „	55 „	დილით	„
საფოსტო „	№ 4	„ ერევნიდან	9 „ 30 „	დილით	კენტ რიცხ.	„ „	10 „	50 „	„	ლუწ რიცხვებში
კურიერის „	№ 1	„ ბათომიდან	2 „ 30 „	დღით	ოთხ. და კვირ.	„ „	6 „	15 „	„	ხუთშაბ და ორშაბ.
სამგ. საბ. „	№ 22	„ ბაქოდან	10 „ 35 „	საღამოს	ყოველდღე	„ „	3 „	05 „	დღით	ყოველდღე.
კურიერის „	№ 2	„ „	7 „ 10 „	„	შაბ და ოთხშ.	„ „	6 „	55 „	საღამოს	ხუთშაბ. და კვირას
საფოსტო „	№ 3	„ ბათომიდან	5 „ 10 „	„	ყოველდღე	„ „	11 „	35 „	დილას	ყოველდღე
„ „	№ 3 | 4 კახ.	თელავიდან	6 „ 09 „	დილით	ლუწ რიცხ.	„ „	6 „	10 „	საღამოს	ლუწ რიცხვებში
საბარგო „	№ 21 | 22 „	„	6 „ 09 „	„	კენტ რიცხ.	„ „	6 „	10 „	საღამ.	კენტ რიცხვებში
ჩქარი „	№ 6	„ როსტოვიდან	6 „ 45 „	„	კვირას	„ „	3 „	30 „	ღამით	ორშაბათობით
„ „	№ 6	„ მოსკოვიდან	7 „ 00 „	საღამოს	ოთხშაბ.	„ „	3 „	30 „	„	ორშაბათობით
„ „	№ 6	„ პეტროგრადიდან	9 „ 00 „	„	კვირაობით	„ „	3 „	30 „	„	შაბათობით

შენიშვნა: 1. კურიერის მატ. №№ 1 და 2 ორი რბილი ვაგონებით და ორი მაგარით, დასაწოლი ადგილებით და ორი საჯდომი ვაგონი, რესტორან ვაგონით, ივლიან ორჯერ კვირაში ბათომ ბაქოს შუა.

2 ჩქარი მატ. №№ 5 და 6 ივლიან სამჯერ კვირაში პირდაპირ გადაუჯდომლად, ერთჯერ ბათომიდან როსტოვამდი, ერთჯერ ბათომიდან მოსკოვამდი და ერთჯერ ბათომიდან პეტროგრადამდი და ყველა ვაგონები ამ მატარებლიში დანომრილი დასაწოლი ადგილებით და ეს მატარებლიბი გაივლიან ბაქოში, მოზდოკში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში და ბოლოგოეში.

3. საფოსტო მატარებლიბი № 3 და 4 ივლიან ყოველდღე ბესლანით და პირდაპირი გადაუჯდომელი მიმოსვლით ტფილისს და როსტოვს შორის.

4. დაწვრილებითი მიმოსვლის ცხრილი იყიდება, როგორც რკინისგზის აგრეთვე ქალაქის სადგურებში: ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, ხაშურში, ტფილისში, განჯაში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, ერევანში—ფასათ 50,000 მან. ქართული ბონებით.
494—1—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.